cyan magenta yeloow black

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭირებით ბეჭთის გაფანა ყველა უკარბისობაზე უსამაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 27 აგვისტო, 2011 წელი.

№159 (6770)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

28 აგვისტოს მარიამობაა, გილოცავთ!

ენა შენი, მტერი... ჩვენი

იმ „სამ მტევანს“ მრთი გამოვაკელით?! ②

პერსევერაცია,

ანუ... საკუთარი ტყუილი თვითონვე სჯერათ! ③

კულტურული რევოლუცია თუ ④ კერპთა დამსობა

მედვედევი კოკოითს ⑧ დაემშვიდობა

მართლმსაჯულება ფულადი შემოსავლების წყაროდ იქცა ②

ვინ ⑨ დაგვაპურებს ყინვათა ქამს?

რა ღირს ⑤ სიცოცხლე?

დღის ანეკდოტი

ფარას ყელზე ზარჩამოკონწიალებული რქებგადაგრეხილი ვაცი მიუძღვის. ცხვრებს სჯერათ, რომ მან იცის, საით უნდა წაიყვანოს ფარა. ვაცბოტს კი ცხვრები სულაც არ ადარდებს, მას მხოლოდ წინ ყოფნა სურს — იქ არც მტვერია და ბალახის კარგი არჩევანიცაა!

◎ ენა შენი, მტერი... ჩვენი

იმ „სამ მტევანს“ ერთი გამოვაკელით?!

აფხაზეთი დავკარგეთ, ოსეთი დავკარგეთ, არ კმარა?

— ერთჯერ დაიჭრა ბიჭი, ორჯერ დაიჭრა ბიჭი, არ კმარა?!

ალბათ, გაგახსენდებათ ეს სიტყვები, რომლებითაც „ჯარისკაცის მამაში“ შვილის მოსანახულებლად მიმავალ გიორგი მახარაშვილს მიაცილებდა მისი ცოლი, და რომლებშიც თითქმის თანაბრად იგრძნობოდა როგორც ვაჟს მონატრებული დედის უსასოესი ნატვრაც — რა იქნება, გამოუშვანო, ისე გამანადგურებელი შიშიც — ღმერთმა დამიფაროს და, მაინცდამაინც უნდა მოკლანო?

ეს ეპიზოდი წამომაგონა მიხეილ სააკაშვილის, უკაცრავად პასუხია და, მორიგმა ყოვლად მოუფიქრებელ-მოუზომავმა, დაუკვირვებელ-გამაოგნებელმა, ლამის ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის სრულიად მიუღებელმა განცხადებამ.

თუმცა მანამდე ამ სამიოდე წლის წინანდელი სკანდალური ამბავი მინდა შეგახსენოთ, რომელიც სწორედ ჩვენი პრეზიდენტის ერთ ასეთსავე „ბრძნულ“ გამონათქვამს მოჰყვა.

მაშინ ჩვენი ეკონომიკის „ჩამოუშლელობით“ მოტრაბახე საკაშვილმა დაახლოებით ასეთი რამ თქვა: **ცუდი და არასწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და მმართველობის გამო ჩვენი მეზობელი სომხეთის ეკონომიკა თავისუფალი ვარდნის რეჟიმშია გადასულიო.**

ერიჰა! დაუკრეფავში გადასვლა თუ რამეს ჰქვია, დამეთანხმებით, სწორედ ესაა!

მით უმეტეს, როცა ამას პრეზიდენტი ამბობს, და არა რომელიმე ეკონომიკური მიმოხილველი!

როდის უნდა გაიგონ ზოგიერთებმა, რომ კბილებს მარტო საჭმლის ღეჭვის და საკვების თქვლეფის გაიოლების კი არა, ზოგჯერ მაინც, ენაზე დაჭერის ფუნქციაც აქვთ, რათა ყველაფერი, რაც პირზე მოგადგება, არ თქვა, ანუ ჩიტივით სიტყვა გარეთ არ გამოუშვა, რადგან...

ჰოდა, ამ სამიოდე წლის წინათ იმ „ჩიტს“ სომხეთის პრეზიდენტის ოფიციალური განცხადება მოჰყვა — **სომხეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის შესაძლო დაძაბვა-გაუარესებისთვის მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას ეკისრებაო.**

ხოლო რაკი სომხეთის პრეზიდენტმა, ჩვენი პრეზიდენტისგან განსხვავებით, კარგად იცის, რომ ეკონომიკური მიმოხილვები (განსაკუთრებით მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვაძ ქვეყნის პირველი პირის საქმე არ არის და არც ეკადრება, ამ კუთხით განცხადება მისმა თანაშემწემ გააკეთა: **საქართველოს ხელისუფლებამ უმჯობესია, თავის ეკონომიკას** (ელემენტარული ზრდილობა-ეთიკის გათვალისწინებით არ დაუკონკრეტებია როგორს — „თავისუფალი ვარდნის რეჟიმში მყოფს“, „ჩაოხრებულს“, „ჩამოუშლელს“ და ა. შ.ძ **მიხედოსო.**

ანუ ერთხელ გაგვაფრთხილეს, ნუ გარეკეთო!

ეს არ ვიგულისყურეთ და (მართალია, ჩვენგან უნებართვოდ და ჩვენს დაუკითხავად, მაგრამ მაინც!ძ კვლავ ჩვენი პრეზიდენტის ენა-პირით დავახეთქეთ: **აზერბაიჯანისა და საქართველოს ყველა ოპონენტი ჩვენი სახელმწიფოების მტერიაო,** რაც, სამხრეთ კავკასიაში ამჟამად არსებული ვითარების გათვალისწინებით, ასეც „მოითარგმნება“ — ჩემი მეგობრის მტერი ჩემი მტერიაო.

განა ცუდია, როცა მეზობელი და მართლაც მეგობარი ქვეყნის — აზერბაიჯანის ხელისუფლების გულის მონადირება გინდა, მაგრამ მეორე მეზობლის — სომხეთის გაღიზიანებამტრად მოკიდების ხარჯზე?

რაო, არ ვიცით, რომ დღეს სომხეთი აზერბაიჯანის ოპონენტი კი არა, ლამის დაუძინებელი მტერია?

არც ის აქსიომური ჭეშმარიტება გვსმენია ოდესმე, რომ სახელმწიფოები ისევე ვერ ირჩევენ თავიანთ მეზობლად რომელსამე ქვეყანას, როგორც — შვილები მშობლებს?

ამიტომ უნდა ვისწავლოთ ჩვენს გვერდით მყოფთან ნაღდი მეზობლობა თუ არა, თანაარსებობა მაინც!

ეს ჩვენგან, დღევანდელთაგან, განსხვავებით, კარგად იცოდნენ ჩვენმა უახლოესმა წინამორბედებმა, რომელთა ყველაზე ბრძნული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, პრაგმატული და გამართლებული პოლიტიკა-პოზიციის გამოხატულება იყო თუნდაც პოეტის ცნობილი სტრიქონები:

თბილისი, ბაქო და ერევანი —
რა კარგი თქმაა, რა დიდებული!
ეს ერთი ვაზის სამი მტევანი
ძმურ მარანში დაკიდებული!

ძმობა რომ მტრობას მუდამ სჯობდა, ყოველ შემთხვევაში, მეზობლებს შორის მაინც, ხომ ფაქტია!

ჩვენ კი რას ვშვრებით — ჩვენივ, არ დავიწყებ იმის შეფასებას, თუ რანაირი „პოლიტიკით“, იმ სამ მტევანს ერთს ვაკლებთ?

რაო, რა გვინდა, მეორე გაფრთხილებას ველოდებით? გვსურს, რომ სომხეთს გოდერძი მახარაშვილის დედასავით ვათქმევინოთ — **ერთხელ გაგაფრთხილეთ ქართველები, მეორედ გაგაფრთხილეთ ქართველები, არ კმარა? მაინცდამაინც ომი გამოგიცხადოთო?**

ერთი ყარაბაღი არ კმარა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე და, ღმერთმა გვაშოროს და, მეორის გაჩენა გვინდა სომხეთ-საქართველოს მიჯნაზე, თუნდაც ჯავახეთში?

აფხაზეთი და ოსეთი რომ დავკარგეთ (მათს დაბრუნებას, გეხსომებათ, თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადაში უთუოდ გვპირდებოდა სააკაშვილი), არ კმარა?

...მხოლოდ რჩეულთა, ერთეულთა ხვედრია (მით უფრო, თუ ისინი ქვეყნების პირველი ხელმძღვანელები არიან!), რომ მათი ნააზრევი და ამ ნააზრევის „გამხმოვანებელი“ მათი ენა მხოლოდ მათ არ ეკუთვნით — ამა თუ იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხ-პრობლემასთან დაკავშირებით მთელი ქვეყნის დამოკიდებულება-პოზიციის გამომხატველია.

ამის გათვალისწინებით, მავანნი ნუ გახდით თქვენს „ენას“ ჩვენს — ერის მტრად!

მით უფრო, როცა, სხვა თუ არაფერი, სავსებით საღი კბილები გაქვთ!

რუსლან რუსია

◎ ინფორმაცია

სპეციალურ წარმომადგენლად ფილიპ ლეფორტი დაინიშნა

ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისების საკითხებში ახალ სპეციალურ წარმომადგენლად ფრანგი დიპლომატი ფილიპ ლეფორტი დანიშნა. ამის შესახებ ინფორმაციას ევროპის საბჭოს პრესსამსახური ავრცელებს.

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების უმაღლესი კომისრის ქეთრინ ეშტონის გადაწყვეტილებით ლეფოტი პიერ მორელსა და პირეტ სემნებს შეცვლის.

ლეფორტი დაკისრებული მოვალეობის შესრულებას 2011 წლის 1-ელი სექტემბრიდან შეუდგება და მისი სპეციალური წარმოადგენლის მანდატი სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისების საკითხებში 2012 წლის 30 ივნისში ამოიწურება.

ფრანგ დიპლომატს დავალებული აქვს კავკასიის ქვეყნების ხელისუფლებებთან, პარლამენტებთან, სხვა სახელმწიფო უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ლაფორტი რეგიონში უსაფრთხოების, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ორგანიზებული დანაშაულის, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართულებით იმუშავებს.

შალვა ნათელაშვილი ბრალს სდებს

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის მტკიცებით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა სისხლიან ძალაუფლებას, მილიარდებს და პირად ვნებებს ანაცვალა.

როგორც გუშინ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა განაცხადა, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების დროს პრეზიდენტი სააკაშვილი რომ შელეოდა თანამდებობას, რუსეთი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებას არ მოახდენდა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ავი სტატისტიკა

მართლმსაჯულება ფულადი შემოსავლების წყაროდ იქცა



სტატისტიკური მონაცემებით, პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა უკანასკნელ წლებში სტაბილურად იზრდება. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის განმავლობაში ივლისის ჩათვლით პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობამ 36 635 შეადგინა, აქედან 36 020 სრულწლოვანია, ხოლო 615 — არასრულწლოვანი. აღრიცხულია მამრობითი სქესის 33 780 და მდედრობითის 2 855 პატიმარი.

2010 წელს პიროგით მსჯავრს 31943 პირი იხდიდა. მათგან 31 405 სრულწლოვანი იყო, 538 — არასრულწლოვანი; 29 647 — მამრობითი სქესის, ხოლო 2 296 — მდედროგითის. 2009 წელს კი პიროგით მსჯავრდებულთა რაოდენობა 26 628-ს შეადგენდა. მათგან 26 112 სრულწლოვანი იყო, 516 — არასრულწლოვანი, 24 808 - მამროგითი სქესის, ხოლო 1 820 — მდედროგითის.

აღსანიშნავია, რომ 150 ათასი პროგაციონერიდან დაახლოებით 80 პროცენტი წვრილი, საშუალო ან მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელია. პოლიტიკური ოპოზიცია აცხადებს, რომ მართლმსაჯულება ფულადი შემოსავლების წყაროდ იქცა, სასამართლო აფორმებს იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც პროკურატურა ილებს.

ექსპერტები კი აცხადებენ, რომ ეს ფაქტი ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე ძალიან მოქმედებს, არის მაღალი პოლიტიკური რისკები, არაკონკურენტული გარემო, რაც ბიზნესს არ აძლევს ნორმალური განვითარების საშუალებას.

ქვეყანაში არსებულ სიტუაციას კარგად ასახავს სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები. თბილისში ლამის აღარ დარჩა ადამიანი, რომელსაც ბიზნესი აქვს და სამართალდამცავებთან არ ჰქონდეს საქმე. მის საქონელს ადებენ ყადაღას და აპატიმრებენ, საპროცესო შეთანხმებას აფორმებინებენ, მერე კი საპროცესო შეთანხმებით ფულს ძალავენ.

სასამართლოს საქმეთა წარმოების მონაცემებს თუ გადავხედავთ, მარტო 2009 წელს 14 ათასი საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. აქედან აბსოლუტური უმრავლესობა იყო წვრილი, საშუალო ან მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი.

„მართლმსაჯულება გადაიქცა ფულადი შემოსავლების წყაროდ, სასამართლო კი — პროკურატურის კანცელარიად, სასამართლო აფორმებს იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც პროკურატურა ილებს. ესაა ზეწოლის ბერკეტი და ხშირად ამ ტიპის ღონისძიება გამოყენებულია ისეთ შემთხვევაში, როდესაც სჭირდებათ თანხის ამოღება. ფორმდება საპროცესო შეთანხმება და ამას საბიუჯეტო შემოსავლების გასაზრდელად იყენებენ.

პოლიტიკური რისკები ბიზნესში ძალიან მაღალია. შესაბამისად, ბიზნესმენები არიან გარკვეული ბერკეტით მიბმული პოლიტიკურ პროცესზე — ეს იქნება ხელისუფლებასთან ინტეგრაციისა, თუ პროგაციონერების სახით. ბუნებრივია, ეს საინვესტიციო კლიმატზე ძალიან მოქმედებს, არის მაღალი პოლიტიკური რისკები, არაკონკურენტული გარემო, რაც ბიზნესს არ აძლევს ნორმალური განვითარების საშუალებას. პროგაციონერები ამ საკითხის შიშვლი გამოვლინებაა“, — ამბობენ ანალიტიკოსები.

ამ პროგლემაზე სოციალურ ქსელში გავრცელებულ გამოხმაურებებსაც გთავაზობთ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე:

„ვინც ღამის 12 საათამდე პროგაციის სააგენტოში მისვლა და ხელმოწერა ვერ შეძლო, 100-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს“.

„ჰო, რატომაც არა, თან ისე უპრობლემოდ ხდება ეს ყველაფერი; კმაყოფილია ყველა — პრობაციონერიც, სახელმწიფოც, საზოგადოებაც... პრობაციონერისა და მისი ახლობლების კმაყოფილების მიზეზი ციხიდან თავისუფლებაა, ხელისუფლების კმაყოფილების მიზეზი — ბიუჯეტის შევსება. საპროცესო გარიგებები რომ არა, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ბიუჯეტის ცვლილების მიზეზი შემოსავლების ზრდის ნაცვლად, შემოსავლების კლება ყოფილიყო. საზოგადოება კი კმაყოფილია იმით, რომ ... დაიგო გზები, განათდა ქუჩები, შეიღება ფასადები, ჩქეფენ შადრევნები.... ან კი რა ჩამოთვლის საზოგადოების კმაყოფილების საბაბ-მიზეზებს“.

„რატომ გგონიათ, რომ არ მომწონს, აღფრთოვანებული ვარ პირდაპირ!“

„უკაცრავად... მომავალი წლიდან აქეთ სახელმწიფო გადაუხდის თანხას“.

„ისე, გასული საუკუნის 30-იანი წლები რომ ყოფილიყო, მიშა 3-ჯერ მეტ ხალხს დაიჭერდა და მუქთად ამუშავებდა შავი და კასპიის ზღვის შემაერთებელ არხზე!

ხალხის ტანჯვა მალე ყველას დაავიწყდებოდა, აი ეს არხი კი ჩვენ თვალს ყოველდღე გაგვიხარებდა. ტვირთბრუნვა მერე გენახათ“.

„აი, ეს უკვე იდეაა — აი, ისეთი, წინასაარჩევნოდაც რომ გამოდგება — დასაქმების პროგრამად“.

„იმ ქვეყნის ხელისუფლება, რომელსაც ოფიციალური სტატისტიკით, 30 000-ზე მეტი პატიმარი და 300 000-ზე მეტი პრობაციონერი ჰყავს, არა პროტესტის ძალადობრივი მეთოდებით ჩახშობას უნდა ცდილობდეს, არამედ საკუთარ თავში მოძებნოს პრობლემა და პასუხი კითხვაზე, რატომ ჰყავს ამდენი პატიმარი“.

ნიკა მეტრეველი
Presage.tv

№ 159. შაბათი, 27 აგვისტო, 2011 წელი.

პერსევერაცია, ანუ... საკუთარი ტყუილი თვითონვე სჯერათ!

სომხეგი ერთ-ერთი უძველესი კულტურული ერია. კაცობრიობის ცივილიზაციის შექმნაში მათ გარკვეული წვლილი მიუძღვით. ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში საბოლოოდ დამთავრდა სომეხი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც თანხვდება სომხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. სომხეთმა ერთ დროს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებიც დაიპყრო და იგი საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მათ თავისი არსებობის მანძილზე შექმნეს უმნიშვნელოვანესი კულტურისა და ხელოვნების ძეგლები, ძველი სომხური ჰაგიოგრაფიული, საერო და საისტორიო ლიტერატურა. ხუროთმოძღვრება ცივილიზაციის საგანძურადაა მიჩნეული. ის, რაც მათ შექმნეს, სავსებით ყოფნით, რათა სამართლიანად იამაყონ.

მაგრამ, მეტად სამწუხაროდ, ზოგიერთი სომეხი მეცნიერი „დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეაფიქსითაა შეპყრობილი და აგერ უკვე თითქმის 200 წელია აბსოლუტურად სულელური მოსაზრეგებით სურთ სათანადო ინფორმაციული ნიადაგი მოამზადონ თავისი მზაკვრული მიზნის განსახორციელეგლად. ისინი აგსურდულ პრეტენზიეგს უყენეგენ მეზობელ სახელმწიფოეგს და მათი ტერიტორიეგისა და კულტურული მემკვიდრეობის მითვისეგას ცდილობენ. ტერიტორიული პრეტენზიეგის წაყენეგა ფაქტობრივად ომის გამოცხადეგას ნიშნავს, თუმცა ისინი ამას არც მალავენ და აღნიშნავენ: თუ ყარაბაღი ჩვენთვის იყო პრესტიჟის საქმე, სამცხე-ჯავახეთი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიაო.

ამ დროს კი, როგორც თვით სომხური, ისე ქართული, უძველესი ასურული ლურსმნული წარწერეგი და სხვა უცხოური წყაროეგი მოწმობს, სამცხე-ჯავახეთში სომხეგს კომპაქტურად არასოდეს უცხოვრიათ. მხოლოდ 1828-1829 წლეგის რუსეთ-თურქეთის ომის დროს ანატოლიიდან გამოქცეული სომხეგი, რომლეგიც თურქეთის რისხვას გადაურჩნენ, გენერალმა პასკევიჩმა ჯავახეთში დაასახლა. შიშველ-ტიტველი სომხეგი ქართველეგმა თავიანთ სახლეგში გამოაზამთრეს. შემდეგში მათ სახელმწიფოც დაეხმარა, სახლეგი აიშენეს და საცხოვრეგლად ჯავახეთში დამკვიდრდნენ. მაგრამ ეს სრულეგითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჯავახეთი მათი ისტორიული სამშობლოა და სომხეთს უნდა შეუერთდეს. ნიშანდოგლივია, რომ როდესაც სამცხე-ჯავახეთი თურქეთის გატნოგისაგან განთავისუფლდა და რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლეგის ომის შედეგად დედასამშობლოს დაუბრუნდა, რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფის შედეგად იგი ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ თბილისის გუბერნიაში შეიყვანეს და არა ერევნის გუბერნიაში. რუსეთის ხელისუფლეგამ შესანიშნავად იცოდა, რომ სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ისტორიული პროვინცია იყო.

ჩვენი სტატიის სათაური „პერსევერაცია“ ლათინური სიტყვაა და აჩვეგეგას, აკვიატეგას, აგრეთვე მრავალგზის განმეორეგულ მოქმედეგას ნიშნავს. „დიდი სომხეთის“ ქრონიკული დაავადეგის მქონე ტვინგახურეგული „დიდი შემოქმედნი“ გამიზნულად, წინასწარგანზრახულად უმოწყალოდ ამახინჯეგენ, უფრო სწორად თვითონ იგონეგენ ფაქტეგს და ცდილობენ ყოველგვარი ქართული სომხურად წარმოაჩინონ. ისინი ერთსა და იმავეს წლეგის განმავლოგაში იმეორეგენ. ფსიქოლოგიაში ცნოგილია, რომ როდესაც ადამიანი ტყუილს ამბოგს და მას თავისი მოსაზრეგეგის დასაცავად ხშირად იმეორეგს, თანდათანოგით უჩნდეგა რწმენა, რომ იგი სიმართლეს ლაპარაკოგს. ასე ემართეგათ ჩვენს ურა-პატრიოტ სომეხ „მეცნიერეგსაც“, რომლეგიც თავიანთი „მოსაზრეგეგის“ დასაცავად ერთ წყაროსაც კი ვერ ასახელეგენ.

დიდი ხანია „ყველაჩემია“ სომხეგი ათასგვარ ტყუილს წერენ საქართველოს შესახეგ. კერძოდ, მსოფლიო საზოგადოეგას გაყალბეგულ ისტორიას ახვევენ თავს: საქართველო და თბილისი სომხეგმა შექმნეს; სამხრეთ კავკასია თურმე მთლიანად სომხეგით ყოფილა დასახლეგული და შემდეგ ეს ტერიტორიეგი ქართველეგსა და აზერგაიჯანელეგს მიუთვისეგიათ; სამცხე-ჯავახეთი სომხეგის ისტორიული სამშობლოა; ქვემო ქართლის ტოპონიმიკა პირწმინდად სომხურია; საქართველო წმინდა ნინოს კი არ მოუქცევია ქრისტიანულ სარწმუნოეგაზე, არამედ სომხეგს; ქართველეგმა საკუთარ ტერიტორიაზე დაკარგეს კონტროლი ვითომც სომხეგის მმართველოგის შეწყვეტის შემდეგ; „ვეფხისტყაოსანი“ სომეხმა დაწერა და ქართველეგმა თარგმნეს; ყველა ქართველი თავადი სომხური წარმოშობისაა გამრეკელის გარდა; მსოფლიოში ცნოგილი „სულიკო“ დავით აბრამიანმა დაწერა, შემდეგ ქართულად გადათარგმნა სომეხი თავადის როსტომ გაგრატიონის შვილმა, აკაკი გაგრატუნმა, რომელიც აკაკი წერეთლის ფსევდონიმით წერდა; გიორგი სააკაძე სომეხია; დედით და მამით სომეხია სტალინი; გორდინოს გმირი პეტრე გაგრატიონი პეტროს ოვანესის ძე გაგრატუნია; ნიკო ფიროსმანაშვილი ხელგაშლილი სომეხი ნიკოლაი ფიროსმანიანია; საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII მამით და დედით წმინდა სომეხი იყო; ქართული სამეფო კარი სომხურად ლაპარაკოგდა და გრძანეგეგსა და განჩინეგეგს სომხურ ენაზე გამოსცემდა; რუსეგი დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრეგი უძველესი ხალხია, ისე როგორც სომხეგი; „გრუზია“ საქართველოსათვის რუსეგს დაურძმევიათ და იგი უკავშირდეგა რუსულ სიტყვა „გრუზჩიკს“; ქართული სახელმწიფო პირველად 1918 წელს შეიქმნა, სომხეთის სახელმწიფო კი დაარსდა 2017 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე; მე-19 საუკუნის გოლოს თბილისის მოსახლეოგის 90 პროცენტს სომხეგი შეადგენდნენ, შემდეგ მოდიოდნენ რუსეგი, ოსეგი, აფხაზეგი და ქურთეგი, ქართველი მხოლოდ 1,5 პროცენტი იყო; საუკუნის მანძილზე საქართველოს სომხეგის ნახევარი ასიმილირეგულია, რომ არა ქართველეგის მიერ მათი ასიმილაცია, მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში სომხეგის რიცხვი 2,5 მილიონს მიაღწევდა; მე-15 საუკუნეში ფოთის მოსახლეოგას მთლიანად სომხეგი შეადგენენ და ქალაქის მახლოგლად 9 სომხური სოფელი იყო გაშენეგული; საგჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაისვა საქართველოდან სომხეგის გაძევეგის საკითხი; საქართველოში650-ზე მეტი სომხური ეკლესიაა; ქართული ღვინო საფერავი თუ სხვა ქართული ღვინოეგი და ცნოგილი მინერალური წყალი „გორჯომი“ სომხურად მონათლეს; ნაპოლეონის პირადი მცველი რუსტამიც კი სომეხად გამოაცხადეს; საგერძნეთში მცხოვრეგმა ვინმე კარაპეტა კალფაიანმა გერძნულ გაზეთ „კათიმერინის“ მეშვეიოგით მთელ საგერძნეთს აუწყა, რომ ქართველეგს არასოდეს ჰქონიათ საერთო ისტორია გერძნეგთან, როგორც გერძნეგსა და სომხეგს, ისინი ხშირად ეხმარეგოდნენ თურქეგს გერძნეგისა და სომხეგის განადგურეგაში და ა. შ. და ა. შ. ასეთი პათოლოგიური აზრეგის ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლეგა. მათ სჭირთ „ავადმყოფური ისტორიზმი“ (სტალინს უთქვამს სომხეგის ტრაგაზზე ისტორიაშიძ. ამ ვაიმეცნიერეგს აწვალეგთ დიდი სომხეთის აღდგენის იდეა, თუმცა ფრანგული ანდაზა ამბოგს: „არაფერია უკეთესი, ვიდრე ფუჭი ოცნეგა“.

ჩვენ არაერთხელ დავუბრუნეთ ტყუილი შემქმნელთ და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელეგთ. ყველა აღნიშნული პრეტენზია სომეხი ვაიმეცნიერეგის უაზრო ტყუილია, რომელიც ლოგიკას არ ეძვემდეგარეგა. მაგალითად, სომეხი ისტორიკოსი მანუკ მანუკიანი, როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნავს, ქართველეგს რომ არ მოეხდინათ სომხეგის ასიმილაცია მე-20 საუკუნის დასაწყისში, თბილისში სომხეგის რიცხვი 2,5 მილიონს მიაღწევდაო. ისტორიკოსმა მ. მანუკიანმა, მართალია შეეხზა დიდი ტყუილი, მაგრამ იმას კი აღარ დაუკვირდა, მე-20 საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში არსეგოგდა თუ არა 2,5-მილიონიანი ქალაქი.

ამ გოლო დროს სომხური მედიის მეშვეიოგით ვრცელდეგა მორიგი არნახული ცილისწამეგა, თითქოს საქართველოში შოვინიზმი ზეიმოგს, რომელიც მხოლოდ სუსტეგსა და ნაძირალეგს ახასიათეგთ. ისინი ლაფში სვრიან ქართველი ხალხის სათაყვანეგელ სახელეგს. ვინმე გრიგორ აღანიანი აღნიშნავს: ჩვენი საუკუნოვანი მეზოგლეგი, ისინი, ვინც თავის ხალხს მაღალი დონის ინტელიგენტად, კულტურის მოღვაწეეგად მიიჩნევენ, სომხური მარაზმით არიან დაავადეგულნი. „მე-19 საუკუნიდან დაწყეგული... შურის ჭიამ და სომხურმა ფოგიამ დაისადგურა, უპირველესად მათ სულეგში, ვინც თავი „განმანათლეგლად“ აღიარა – ჭავჭავაძის, წერეთლის და მათი მიმდევრეგის სულში“. ამის შემდეგ საკითხავი მხოლოდ ერთი რამ რჩეგა: სომხეგის მიერ ქართველეგის მიმართ წამოყენეგული იმ აგსურდული პრეტენზიეგის შესახეგ, რომლეგიც ზემოთ აღვნიშნეთ, პასუხის გაცემა საჭირო იყო თუ არა? როდესაც სომხეგმა ყველაფერი ქართულის მითვისეგა მოინდომეს და საკუთარი აღარაფერი დაგვიტოვეს, ილია ჭავჭავაძემ დაწერა თავისი ცნოგილი ნაშრომი „ქვათა ღაღადი“ არა სომხეგის წინააღმდეგ, არამედ ისტორიული სამართლიანოგის დასაცავად, და ეს სრულეგითაც არ ნიშნავს არმენოფოგიას. იგი აღნიშნავდა: „ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენეგა გააჩანაგონ, ქართველეგის სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ“. ვისაც ეს ნაშრომი დაკვირვეგით წაუკითხავს, აუცილეგლად დაინახავდა, რომ ილია ჭავჭავაძე უდიდეს პატივს მიაგეგს სომეხ ხალხს, მათ შრომისმოყვარეობას, მათ შეუპოვარ გრძოლას ეროვნული ფასეულოგეგის დასაცავად, მაგრამ არა სხვის ხარჯზე: „ქვეყანაზე რომ გაჟი ედოს თავისის თავის ქეგას და სხვის ძაგეგას, რამდენი სომეხი მეცნიერი დამუნჯდეგოდა სომეხთა სასახელოდ და ჩვენდა სამშვიდოგოთ“, – აღნიშნავდა ილია. მას შეუვალი ფაქტეგი მოყავს თავისი მოსაზრეგის დასაცავად.

გრიგოლ აღანიანი არმენოფოგიაში ამჟამად უპირველეს გრალს დეგს თანამედროვეოგის უდიდეს რეჟისორს გატონ როგერტ სტურუას, მაგრამ მისი მოსაზრეგეგი ჰაერშია ჩამოკიდეგული. არა მარტო ქართველი საზოგადოეგა, არამედ პირუთვნელი სომხეგიც თვლიან, რომ გატონი როგერტი მეტად შორს დგას ნაციონალიზმისა და შოვინიზმისაგან. ამიტომ მისი განთავისუფლეგა შოთა რუსთაველის სახელოგის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატრო ხელმძღვანელოგის თანამდეგოგიდან, ქართველთა ცხოვრეგაში გევრ სავალალო კითხვას გადეგს.

ქართველეგი, საგედნიეროდ, განეგივრეგულნი ვართ საუკეთესო რეჟისორეგით. კოტე მარჯანიშვილმა მთელი ეპოქა შექმნა ქართულ თეატრში. მან გევრი მსახიოგი აღმოაჩინა, რომლეგმაც შემდეგში დიდი წვლილი შეიტანეს ქართული თეატრის წარმატეგაში. გენიოსი რეჟისორის სახელი დაიმკვიდრა სანდრო ახმეტელმა. ნოვატორმა რეჟისორმა გრწყინვალე სპექტაკლეგი დადგა, რომლეგითაც მსოფლიოს ნეგისმიერი თეატრი იამაყეგდა. მისმა გასტროლეგმა მოსკოვსა და ლენინგრადში ტრიუმფით ჩაიარა. ამიტომ იყო, რომ მას იწვევენ გასტროლეგზე ამერიკაში, თხოვენ ამერიკაში წასვლამდე მოაწყოს პატარა ტურნე ევროპის მთავარ ქალაქეგში – ვენაში, გუდაპეშტში, პრაღაში, ვარშავაში, ციურიხში, პარიზში, ლონდონში, ამსტერდამში, გრიუსელსა და ჰაგაში, აგრეთვე იტალიის ქალაქეგში, იწვევენ სამუშაოდ მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქეგში, თხოვენ შეფოგა აილოს ყაზახეთის თეატრზე და ამით დაეხმაროს მას. სანდრო ახმეტელს იმ პერიოდში გამეფეგული რეჟიმის გამო არ შეეძლო ესარგეგლა თავაზიანი მიწვევეგით. უფრო მეტიც, შემოქმედეგის მწვერვალს ვერ მიაღწია – რეპრესიეგის მსხვერპლი გახდა.

გატონმა როგერტ სტურუამ შეძლო არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ უცხოეთშიც დაედგა განუმეორეგელი სპექტაკლეგი და მსოფლიო დონის რეჟისორის სახელი დაიმკვიდრა. იმ დროს, როდესაც ცისფერი ეკრანი წალეკა პროვინციული შოუეგის – „ვანოს შოუს“, „ცოცხალი შოუს“, „თქვენი შოუს“, „ბლექ შოუს“, „შაგათის შოუს“, „კომედი შოუს“ და კიდევ ვინ მოთვლის რამდენმა უგემოვნო წარმოდგენეგმა, როდესაც პატარა გავშვეგის თამაშეგის იმპროვიზაციამ დრო დაამუნჯა და საჩვენეგელი დარჩა ცისფერი ეკრანიდან მხოლოდ რიკ-ტაფელას თამაში, მსოფლიო სახელის მქონე რეჟისორის თანამდეგოგიდან განთავისუფლეგა ეროვნული ენერგიის საშინელი გაფლანგვის ტოლფასია. „ხსოვნის მქონე შთამომავლოგა“ ამ დიდ დანაკლისს შესაგამისად შეაფასეგს. სამწუხაროდ, ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა.

კოტე მარჯანიშვილსა და სანდრო ახმეტელს შორის არსეგოგდა გარკვეული დაპირისპირეგა. მიუხედავად ამისა, სანდრო ახმეტელი კოტე მარჯანიშვილს წერდა: „რაც არ უნდა მოხდეს, ძვირფასო კოტე, ჩვენს შორის, იცოდე, გარდა ულრმესი სიყვარულისა და ერთგულეგისა შენს მიმართ, ჩემს გულში არაფერი იმალეგა... თეატრში მე დავიკავე შენი ადგილი... შენი სული ჩვენს თეატრში უსაზღვროდ იგატონეგს, ამიტომაც არც ერთი ნაგიჯი არ იქნეგა გადადგმული წინასწარ შენთან შეთანხმეგის გარეშე“ (ახმეტელი. დოკუმენტეგი და ნარკვევეგი, ტომი პირველი, თგ., 1978, გვ. 454ძ. ვერ გეტყვით, გატონ როგერტ სტურუას მიმართ ქართველეგი და რუსთაველის თეატრის დასი მაინც ამაღლდეგიან თუ არა განვითარეგული საოქალაქო საზოგადოეგის დონეზე.

მეტად საგულისხმო ფაქტს ოგვითხრობს თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე თავის შესანიშნავ წიგნში „მიხეილ ვაშაძე“: „მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ჰ. კაკაბაძის „ცხოვრეგის ჯარა“. სპექტაკლის ჩაგარეგას კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ესწრეგოდა. სპექტაკლის უარყოფით გგირს ძვალძვალიჩს ასრულეგდა აკაკი კვანტალიანი, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის გგირი გაეკეთეგინა, ულვაშიც მისეგური მიეწეგეგინა. თავადაც ფიზიკურად ჰგავდა მჟავანაძეს. საგოლოოდ ყველაფერი გასწორდა, მაგრამ ეს ყველაფერი ვ. მჟავანაძისათვის ცნოგილი გახდა. აკაკი კვანტალიანი იგონეგს: „ბინის საკითხზე მომიწია მჟავანაძესთან შესვლა, არაჩვეულეგრივად კარგად მიმიღო, საქმეც გამიკეთა, როცა კაბინეტიდან გამოვდიოდი, მითხრა: ისე, აკაკი, ქართველი კაცი ყოველთვის პატივს სცემდა უფროსს, როგორიც არ უნდა ყოფილიყო.

მოვკვდი კაცი, ვუთხარი, რომ ჭორია, მე არაფერი გამიკეთეგია, მოგრძანდით და ნახეთ-მეთქი.

მჟავანაძემ მაჯოგა, შემარცხვინა“.

რას იზამ, ასეთია ცხოვრეგა. მჟავანაძემ შეძლო თავისი თავისთვის ეჯოგნა. საერთოდ, თუ გევრჯერ არა, ერთხელ მაინც უნდა შეძლო კაცმა ავჯოგო საკუთარ თავს.

ანზორ თოთაძე

კულტურული რევოლუცია თუ კერპთა დამხობა

„ორთოდოქსული დოქტრინის პათოსმა, რომელიც სასარგებლო აღმოჩნდა ბრძოლისა და ორგანიზაციის თვალსაზრისით, გამოიწვია იდეისა და აზრის შემეცნებისა და ინტელექტუალური კულტურისადმი ინტერესის სრული დაკარგვა.

თუკი ჩვენს დღევანდელობას შუასაუკუნეებს შევადარებთ, არც თუ სასარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ჩვენს დროში ხომ იდეური შემოქმედების ნასახიც არ შეინიშნება. ამ მხრივ ჩვენი შეუწყნარებელი ეპოქა საოცრად უნიჭოდ და მდარედ გამოიყურება. ჩამკვდარია შემოქმედებითი აზრი.“

ნიკოლაი ბერდიაევის ეს შეფასება, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებშია დაწერილი და საოცრად შეეფერება იმ მდგომარეობას, რომელიც დღევანდელ საქართველოშია გამეფებული.

არ შევუდგები ძალიან ღრმა წიაღსვლებს არსებული ვითარებისათვის კონკრეტული სახელის მოსაძებნად. არ შევუდგები, რადგანაც იმას, რაც დღეს ხდება, არც მეტი და არც ნაკლები, ჩვეულებრივი „კულტურული რევოლუცია“ ეწოდება.

დიახ, სწორედაც, რომ „კულტურული რევოლუცია“, რადგანაც ის ძალიან ჰგავს მსგავს „რევოლუციებს“. იმ რევოლუციებს, რომლებიც სხვადასხვა დროს, ხვადასხვა ქვეყანაში ხდებოდა.

ჰგავს იმ „კულტურულ რევოლუციას“, რომელსაც უნიჭო მომღერალი ნერონი „აკეთებდა“ ძველ რომში (სხვადასხვა პოლიტიკური, თუ სასცენო სპექტაკლებით დაწყებული, ძველი რომის გადაწვით დამთავრებულიძ.

ჰგავს საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ პერიოდს.

ჰგავს იმ „მწარე ბოლშევიკების“ „კულტურულ რევოლუციას“, რომლებიც მოსკოვი–ლენინგრადის რკინიგზის აყრას და ხელახლა დაგებას აპირებდნენ, რადგანაც ის მეფის დაგებული იყო.

და განსაკუთრებით ჰგავს იმ „კულტურულ რევოლუციას“, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1966 წელს მათმა დიდმა ბელადმა მაო ძე დუნმა დაიწყო და რომელიც 1976 წლამდე გაგრძელდა.

ნამდვილად არ არის საჭირო „კულტურული რევოლუციების“ მიმდინარეობისა და მათი შედეგების აღწერა.

არ არის საჭირო, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, რომ რევოლუციური ცვლილებები უპირველესად ძველის დანგრევას და ახლის დამკვიდრებას ემსახურება.

არც მიხეილ სააკაშვილისა და მისი იდეების, მაო ძე დუნთან და მის იდეებთან შედარება იქნება რაიმე ახლის მთქმელი.

არ იქნება, რადგანაც დღევანდელი ხელისუფალის იდეებისა და მათი განხორციელების მეთოდებისადმი მიძღვნილი უამრავი პუბლიკაცია იგეჭდება გაზეთებსა თუ ინტერნეტგამოცემების გვერდებზე.

ამწერილში მინდა შემოგთავაზოთ მიმდინარე კულტურული რევოლუციის ჩემეული ხედვა. ხედვა, რომელიც ბევრისათვის შეიძლება მისაღები იყოს, ბევრისათვის – მიუღებელი. მინდა შემოგთავაზოთ ჩემი დამოკიდებულება იმ მოსაზრებებთან, რომლებიც დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში გაჩნდა.

თუ ყოველგვარ ემოციებს გვერდზე გადავდებთ და ნებისმიერი რევოლუციის შედეგებს ცივი გონებით შევაფასებთ, ადვილად დავინახავთ, რომ რევოლუცია ძველის დანგრევის და რაც შეიძლება დაჩქარებულ ტემპში ახალი ხედვის დანერგვის შესაძლებლობაა.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, პირდაპირ ვიტყვი, რომ ძველის დანგრევა იმ არსებულ „კერპთა დამხობაა“, რომლებიც რევოლუციამდელი საზოგადოების ინტელექტუალურ თუ სულიერ ცხოვრებას განსაზღვრავდნენ.

ასეთი „კერპები“ კი საზოგადოების ნებისმიერ სეგმენტში, ანუ მოსახლეობის ნებისმიერ ფენაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროსა თუ დარგში არსებობს.

ისინი დროთა განმავლობაში ჩნდებიან, მკვიდრდებიან და გარკვეულწილად გემოვნების განმსაზღვრელად და მაგალითის მიმცემებად ყალიბდებიან.

ხალხი ასეთ ადამიანებს, ანუ „კერპებს“ გენიოსებს, ერის მონაპოვრებს, საუკუნეში ერთხელ გაბრწყინებულ ვარსკვლავებს ეძახის და ხშირ შემთხვევაში არც ცდება.

არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორ ეტმასნებიან მათ სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები და როგორ ცდილობენ კერპების გვერდით „დაბუდრებას“.

არ ვილაპარაკებ იმ გზებზე, თუ როგორ ახერხებენ ისინი საკუთარი თავის მორიგ „კერპად“ გამოცხადებას (პრინციპში, მოკლედ რომ ვთქვა, ასეთი ავანტიურისტების „გაფეტიშების“ საქმეში ხელისუფლებას ან კლანურ პროტექციას უდევს ლომის წილიძ.

არ ვილაპარაკებ, რადგანაც დიდი ცვლილებების დროს ასეთი „ყალბი კერპები“ ფაქტობრივად არ „იმსხვრევიან“. ისინი თავიანთი კონფორმიზმისა და ლავირების შინაგანი უნარის წყალობით, ნებისმიერი სიტუაციიდან ახერხებენ გამოსვლას და „ზედაპირზე რჩებიან“.

ბუნებრივია, რომ ახალ ხელისუფლებას ნამდვილი კერპების მსხვრევის დროს აუცილებლად სჭირდება კონფორმისტი ცნობადი არსებები. სჭირდება, რადგანაც მოსახლეობაში ისინი უკვე „არსებობენ“. „არსებობენ“ და აქედან გამომდინარე ახალი „კერპების“ შექმნაში მათ საკმაოდ დიდი როლი ეკისრებათ. ამ მოსაზრების დამადასტურებელი ყველაზე მარტივი მაგალითი, სულ რამდენიმე დღის წინათ ვიხილეთ გათუმის პიაცაზე, სადაც „კულტურული რევოლუციის“ უნიჭო ნაყოფი, მოსახლეობამდე თავიანთი აღფრთოვანებული შეფასებებით, სწორედ ძველმა კონფორმისტმა „კერპებმა“ ბუბა კიკაბიძემ და ნანი ბრეგვაძემ მიიტანეს.

პრინციპში აქ შეიძლება მე გამოვდიოდე „კულტურული რევოლუციონერის“ როლში, რადგანაც, დარწმუნებული ვარ, უამრავ ადამიანს მოეწონება დოიაშვილის ახალი დადგმა.

მე მშვიდობის მოყვარე ადამიანი ვარ და ყოველგვარი რევოლუციები ჩემთვის მიუღებელია, ამიტომ, იმ აღფრთოვანებულ ხალხს პირდაპირ ვეტყვი: – კი ბატონო, თქვენ ამ ახალი მოდერნით დატკბით, მე კიდევ ახალი ცხოვრებისთვის მიუღებელი, ძველი სპექტაკლების ნახვით დავითხრი თვალებს.

თქვენ ორტარიანი, გენმოდიფიცირებული სიმინდი მიირთვით, მე კიდევ ქართულ ჭყინტ სიმინდს ჩავხეთქავ.

თქვენ „დაბნეული თხუნელა“ დაიზეპირეთ, მე კიდევ მონღოლოიდი დოსტოევსკით და ტოლსტოით გადავიღლები.

გავაგრძელო? კიდევ ბევრი რამ შეიძლება ჩამოვთვალო, მაგრამ სხვა დროს იყოს.

ისმის მარტივი კითხვა: – რა საჭიროა რევოლუციური ცვლილებები, როცა პროგრესი მაინც თავისას გააკეთებს. რა საჭიროა რევოლუციური ცვლილებები, როცა ახალი მაინც გაიკვალავს გზას. რა საჭიროა ნგრევა, როცა დასანგრევი (თუ მართლა დასანგრევიაძ მაინც დაინგრევა?

ყველასთვის ცნობილია, რომ რევოლუციებს გენიოსები ჩაიფიქრებენ, ფანატიკოსები ახორციელებენ და ნაძირალები თავის სასარგებლოდ იყენებენ.

თუ დღევანდელ სიტუაციას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მიმდინარე „კულტურული რევოლუცია“, ფანატიკოსებისა და ნაძირალების „შესანიშნავი“ ტანდემით ხორციელდება (ფანატიკოსები თავიანთ იდეებს ამკვიდრებენ, ხოლო ნაძირალები ამ იდეების დამკვიდრების პროცესში საკმაოდ დიდ ფულს შოულობენძ.

„სეპარატისტული ლიბერალიზმის იდეოლოგია“, ანუ ის „იდეები“, რაც „ფანატიკოსებმა“ საქართველოში შემოიტანეს, აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ქართულ მენტალიტეტს და, რაც მთავარია, ეწინააღმდეგება იმ ქართულ კულტურას, რომელიც მიუხედავად თავისი ტრადიციულობისა და კონსერვატულობისა, საკმაოდ სწრაფად ვითარდება, საკმაოდ სწრაფად ითვისებს ყოველგვარ პროგრესულს, შედეგიანად ტრანსფორმირდება და ხშირ შემთხვევაში თავად ხდება ახალი იდეის შემოქმედი.

სწორედ ამიტომ არის აუცილებელი რეფორმების შოკური თერაპიის „სტილში“ განხორციელება. სწორედ ამიტომ არის საჭირო სიჩქარე. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი „კულტურული რევოლუცია“.

დიახ აუცილებელი, რადგანაც კულტურის რეფორმირების პროცესის დროში გაწელვა უდავოდ წამგებიანია სეპარატისტული ლიბერალიზმის დამკვიდრების მსურველთათვის.

წამგებიანია, რადგანაც დროში გაწელილი ლიბერალური იდეოლოგია, ნებისმიერ შემთხვევაში დამარცხდება.

„ლიბერალიზმის“ ბრძოლა განვითარების უნარისა და შესაძლებლობების მძლე კულტურასთან, შესაძლებელია შევადაროთ რუსეთის მიერ მონღოლი დამპყრობლების „გადაყლაპვას“. დაპყრობილმა რუსეთმა „შეისრუტა“ მონღოლეთის იმპერია. „შეისრუტა, მისი ადგილი დაიჭირა, რადგანაც კულტურით რუსეთი მონღოლეთზე მაღლა იდგა.

სწორედ ამიტომ ჩქარობენ ჩვენი ფანატიკოსები შოკური რეფორმების მეშვეობით, საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

„ფანატიკოსს მუდმივად მტრის ხატი ესაჭიროება. მას სულ ვიღაც ჰყავს დასასჯელი. ფანატიზმი ყოველთვის გულისხმობს სოციალურ ძალდატანებას. უკიდურესი ორთოდოქსული ფანატიზმი სექტანტურ ხასიათს იძენს. რჩეულთა წრისადმი მიკუთვნებულობა და ამით მოგვრილი კმაყოფილებაა სწორედ სექტანტური გრძნობა. ფანატიზმი ნებისყოფას აწრთობს და ისეთ მებრძოლ სულს აყალიბებს, რომელიც მზადაა სხვებიც აწამოს და საკუთარი წამებაც აიტანოს. თვით ყველაზე რბილ და უწყინარ ფანატიკოსსაც კი, რომელიც თავს კაცთმოყვარედ თვლის და საზოგადოების გადარჩენაზე ზრუნავს, მოეძებნება სადიზმის ელემენტები“ (ნ. ბერდიაევი).

ამ განმარტებების შემდეგ, ალბათ, ქართველი ფანატიკოსი ლიბერალები – დარჩიაშვილები, თუთბერიძეები, რამიშვილები, თევზაძეები და ძმანი მათნი გაგახსენდათ.

ისინი და მათ იდეოლოგიას შეფარებული დღევანდელი ხელისუფლება, არ ცნობენ კრიტიკას და იდეურ კამათს. არ ცნობენ იდეათა ბრძოლას. მათ მხოლოდ მხილება, განკვეთა და სასჯელი იციან. სხვაგვარად მოაზროვნე დამნაშავედ აღიქმება. დამნაშავესთან კი არ კამათობენ.

მათთვის იდეური მტრები არ არსებობენ. არიან მხოლოდ სამხედრო მტრები. მტრები, რომლებიც მიეკუთვნებიან მტრულ სახელმწიფოებს.

კამათი უკვე შემწყნარებლობაა.

ყველაზე მძვინვარე მოკამათეც კი შემწყნარებელი ადამიანია, რადგანაც იგი უფლებას განსხვავებული იდეის არსებობას.

სწორედ ამიტომ არ კამათობენ სეპარატისტი ლიბერალები.

სწორედ ამიტომ არ კამათობს ხელისუფლება.

რაც შეეხება ქართულ „კულტურულ რევოლუციას“, იგი არც ისე „რევოლუციურად“ დაიწყო.

ის არც „ავრორას“ ზალვს მოჰყოლია და არც ხელისუფალის მიერ გამოცემულ კონკრეტულ ბრძანებას.

„კულტურული რევოლუცია“ საქართველოში ნელ-ნელა განვითარდა.

ის თამარ ლებანიძის მიერ ბავშვების სექსუალური განათლებისთვის განკუთვნილ გამოცემებს, ლაშა ბულაძის, ზაზა ბურჭულაძის და მათი მსგავსი „მწერლების“ „ნაწარმოებებს“ შემოჰყვა.

ის „უცხოეთში აპრობირებულ“ შოუებთან და „გეი პარადების“ მომწყობ „ენჯეოებთან“ ერთად შემოიპარა.

ის „დაბნეულ“ თხუნელასთან ერთად შემოძვრა.

ის პატრიოტთა განაკებთან არსებულ ბუჩქებში აღმოცენდა.

ის რუსთავი 2-ის, თუ „იმედის“ „გაკეთებული“ ახალი ამბებიდან გადმოიფრქვა.

საქართველოს მოსახლეობის გულგრილობამ, გათითოკაცებამ, გაუსაძლისი ცხოვრებისადმი შემგუებლობამ „ნოყიერი ნიადაგი“ დაახვედრა და „კულტურულმა რევოლუციამ“ საბოლოოდ გაშალა ფრთები.

შედეგი?

შედეგი არც რობერტ სტურუას მოხსნა და არც გათუმის პიაცაზე სულელური პიესის დადგმაა.

შედეგი ის მკივანა დედაკაცები არიან, რომლებიც ყოველად ამაზრზენი ფორმით გამოხატავდნენ თავიანთ აღფრთოვანებას ქვეყნის პირველი პირის მიმართ.

შედეგი ის მმართველი გუნდია, რომელიც ახლადგახსნილ გულვარზე ველოსიპედით სეირნობდა მაშინ, როცა ნახევარი კახეთი ნიაღვარმა წაიღო და უამრავი ადამიანი სარჩოს გარეშე დარჩა.

შედეგი ის „ცნობადი სახეები“ არიან, რომლებიც თავად არიან ტელეშოუების წამყვანებიც, სტუმრებიც და მაყურებლებიც.

მე კი თავს იმით ვიმშვიდებ, რომ რევოლუციებიც მთავრდება და მატყუარა კერპებიც იმსხვრევიან.

ნამდვილი კულტურა კი მუდამ რჩება.

გია გაბრიჭიძე

◎ ინფორმაცია

ე.წ. საზღვარი დროებით ჩაკეტა

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ ე.წ. საზღვარი დროებით ჩაკეტა. ამის შესახებ „კავკაზსკი უზელი“ იუწყება.

„საქართველოსთან საზღვარი“ დე ფაქტო რესპუბლიკამ რუსეთის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების სამი წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩაკეტა.

– ზეიმის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საზღვარზე ვითარების გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, 26 აგვისტოს 00:00 საათიდან 27 აგვისტოს 00:00 საათამდე საქართველოსთან საზღვარზე განლაგებულ პუნქტებზე – „მოსაბრუნი“, „არცევი“ და „სინაგური“ მოქალაქეების გაშვება შეწყვეტილი იქნება“, – განაცხადეს უშიშროების დე ფაქტო კომიტეტში.

გუშინ ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის მეორე დამოუკიდებლობის აღიარების სამი წლისთავი იზეიმეს.

ХО-ЗОВ-ЗЕО

◎ ᲣᲐᲛᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ

რა ღირს სიცოცხლე



ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ინვალიდთათვის მოქმედი კერძო და სახელმწიფო სპეციალური ავტობუსებიც. სხვადასხვა ტიპის საშემკეთებლო დაწესებულებები კი, როცა ეტლის შეკეთების რეკლამას იძლევა, დაურთავს ხოლმე, რომ შეკეთების პერიოდში ისინი ეტლის პატრონს დროებით გამართულ ეტლს მისცემენ, რათა ადამიანი ერთი წუთითაც კი გადაადგილების საშუალების გარეშე არ დარჩეს. ანდა რად უნდა მდიდარი სახელმწიფოს გადაწყვეტილება იმას, რომ ყოფილ „უპატრონო ბავშვებს“ ცირკის აკრობატებმა აკრობატობა ასწავლონ? ამგვარი ინიციატივა თავის თავზე არც ისე მდიდარი ქვეყნის კოლუმბიის ცირკის მსახიობებმა ითავეს.

ერთხელ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, დრო დავინიშნე. ჩემი საუბიექტური გათვლებით, ავტობუსში ეტლიანი ადამიანის ამოსაყვანი მექანიზმის – სპეციალური „ესკალატორის“ ამოქმედებაზე და ზოგადად ინვალიდის ამოყვანა-ჩაყვანაზე, მინიმუმ 15-18 წუთი მაინც იხარჯება. ამ ხნის განმავლობაში მგზავრთაგან არავის გამოუხატავს უკმაყოფილება, არავინ იწყევლება-იბინება-იფურთხება. თუნდაც ამგვარი 15-17 წუთები ყოველ გაჩერებაზე ხდებოდეს. როგორც წესი, რესტორნებში, საპარიკმახეროებში, სუპერმარკეტებში, ტანსაცმლის მაღაზიებში თუ სადგურებში ინვალიდთათვის ტუალეტის კაბინებიც სპეციალურადაა მოწყობილი, უფრო ფართოა, რათა იქ ადამიანი თავისი ეტლითა და ძაღლით დაეტიოს; მრავალსართულიანი მეტროს რიგ გაჩერებებზე კი ლიფტებიცაა დამონტაჟებული, ხოლო მეტროს რუკაზე, რომელიც უფასოდ რიგდება, ინვალიდობის ნიშნით აუცილებლადაა დატანილი რომელ გაჩერებაზეა ამგვარი ლიფტები. ბუნებრივია, მეტროში შესასვლელად, ეტლებისთვის, მათ შორის, საბავშვო, სპეციალური კარებია. გარდა ტექნიკური ინფრასტრუქტურისა, სოცმუშაკების ძალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია ინვალიდთა ადაპტირებისთვის. სოცმუშაკი ჰოსპისზე მყოფსაც ენიშნება. უფრო სწორად მის ოჯახს, რათა ასე ვთქვათ, ახლოგლეგი ოჯახის წევრის სიკვდილისთვის მოამზადონ.

ამერიკული სამართლებრივი სისტემა ჩვენებური გაგებით კურიოზებსაც უტოვებს სასიცოცხლო სივრცეს. მაგრამ იმას, რასაც ჩვენ „კურიოზს“ ვუწოდებთ, ამერიკულ სასამართლოში სერიოზული განხილვის საგანი შეიძლება გახდეს. ნიუ-იორკში ერთი უცნაური ინვალიდი ცხოვრობს, რომელიც თავისი სკანდალური „ქეისებითაა“ ცნობილი. ყოველდღე ქუჩაში, კერძოდ კი მდიდრულ მანჰეტენზე თავისი ეტლით დასეირნობს და აღრიცხავს იმ შენობებს, სადაც პანდუსები არაა, მერე კი თავის ადვოკატთან ერთად სასამართლოში სარჩელი შეაქვს. ეს სასამართლოები კი თვეობითა და წლობით მიმდინარეობს. შენობის პატრონები კი თავს ასევე ადვოკატებით იცავენ და იმ არგუმენტითაც, რომ ნიუ იორკის ყველა შენობის, განსაკუთრებით კი ძველი შენობების შესასვლელი არაა ისე აგებული, რომ ის ინვალიდთა საჭიროებებს მოერგოს. რამდენადაც ვიცი, ეს ადამიანი ჯერჯერობით მილიონერი ვერ გახდა... თუმცა, დამერწმუნეთ, როგორც ამბობენ, იგი თავის შანსს არ გამოტოვებს...

* * *

მახსოვს სკოლაში ვინც კარგად არ სწავლობდა მათ თანაკლასელები და მასწავლებელიც დასცინოდნენ, „ოროსანას“ ვინღა ჩივის, ათასგვარ კნინობით ზედმეტსახელს უწოდებდნენ, პროფტექნიკუმით „ემუქრებოდნენ“. რატომღაც, ოროსნობა ბიჭებსა („კაი ბიჭობაში“ ეთვლებოდათ) და მშობლების სტატუსით პრივილიგირებულებს ეპატიებოდათ. თუმცა ისიც მახსოვს, თანაკლასელ ვაჟებს „ხუთოსანა“ ბიჭებიც არ უყვარდათ და ამიტომ ამ „დედიკოს ბიჭებს“ „მამიკოს ბიჭებისგან“ ცემა-ტყეპაც არ აკლდათ. აი, ოროსანი გოგონა თანაკლასელები კი ბიჭებში პოპულარულობით არ სარგებლობდნენ. სამოსნებიც კი. გოგონები ხუთოსან გოგონებს არ სცემდნენ და „დედიკოს (მამიკოს) გოგოს“ არ უწოდებდნენ. ჰოდა, იმის თქმა მინდა, რომ ეს ოროსნები არავის შეუმოწმებია, იყვნენ თუ არა ისინი დისლექსიკები (წერა-კითხვის უნარის დაუფლების დარღვევა), ორდინალური თანამდევი სინდრომით – ყურადღების დეფიციტით. ლეონარდო და ვინჩი, ჰანს ქრისტიან ანდერსენი, აგატა კრისტი, თომას ედისონი, ტომ კრუზი, ჰარისონ ფორდი, ვუპი გოლდბერგი, სტივ მაკქუინი, ენტონი ჰოპკინსი, „ღამის შოუს“ წამყვანი ენაწყლიანი ჯეი ლენოც დისლექსიკები იყვნენ. თუმცა დისლექსია მათ ხელს სულაც არ უშლიდათ, რომ სრულფასოვანად ეცხოვრათ ანდა კარგი განათლება მიეღოთ. ნიუ იორკის მთავარი ქირურგიც დისლექსიკია და მას ამ „თავისებურების“ დაძლევაში, ბუნებრივია, დაეხმარა არა მხოლოდ მზრუნველი ოჯახი ან თანამგრძნობი არასამთავრობო ორგანიზაცია, არამედ ის ხალხიც, რომლებმაც ამგვარი გავშვების რეაბილიტაციისთვის საჭირო სახსრების გამოყოფისთვის იბრძოდნენ ანუ „ჩვენებურ“ დასავლურად რომ ვთქვათ, ლობირებდნენ. ლობირების მექანიზმი კი პიკეტის მოწყობა არაა, არამედ ცხელი ხაზები, ბუკლეტები, სასწავლო პროგრამები, მედია, განსაკუთრებით სატელევიზიო გადაცემები, ანუ ბარემოს შექმნა. თუნდაც სრულიად პრაგმატული მიზეზ-მიზნით, პოლიტიკოსის არჩევნებზე გამარჯვების ანდა სასურველი კანდიდატის გაყვანის სურვილით. რადგან არაფერია იმაზე უფრო მეტად პოლიტიკური ვიდრე დისლექსია, იმაზე უფრო მეტად პოლიტიკური, ვიდრე უმცირესობა და იმაზე უფრო მეტად პოლიტიკური, ვიდრე მარგინალიზირებიდან, სოციალური მარტოობიდან გამოსვლის უფლებაა.

* * *

ᲩᲔᲛᲘ დიდი ბაბუის ნათლია ნიკო ნიკოლაძე იყო. ჰოდა, სანამ ბოლშევიკები საქართველოში შემოქანდებოდნენ, თავის ნათლულს თურმე მუდმივად ეჩიჩინებოდა: „წადი, ბესარიონ, ამერიკაში... კაცი გამოხვალო!“... რას იფიქრებდა ნიკოლაძე ერთ არც ისე მშვენიერ დღეს მითოლოგიზირებული, „ყოვლისშემძლე“ ამერიკის სოციალურ პროგრამებს არც ისე სოციალური „დიზაინი“ რომ ექნებოდა. აშშ-ში საშუალო კლასის წარმომადგენლიდან უსახლკაროდ დარჩენილამდე ერთი თუ არა, ორი ნაბიჯი მაინცაა. დღეისთვის 10 ათასობით ამერიკელს საკუთარ მანქანებში სძინავთ. აშშ-ში სამსახურის დაკარგვა სახლის დაკარგვასაც ნიშნავს. თუ სახლის მაგივრობას საკუთარი ავტომანქანა გიწევთ და იქ ბავშვებთან ერთად გძინავთ, მაშინ სოციალურმა სამსახურმა არასრულწლოვანი შვილები შეიძლება წაგართვათ, რადგან სახელმწიფოს ამისთვის ხაზინიდან ფული აქვს გამოყოფილი. ფული იმისთვის, რომ ბავშვმა „ცუდ მშობელთან“ არ იცხოვროს. რატომაა ცუდი მშობელი, ამის გარკვევა სხვა სოციალურ-კულტურულ-პოლიტიკური სფეროდანაა. პირველი ემიგრანტებს მარხილებზე ეძინათ, ახლა მათ შვილთაშვილიშვილებს – „ნისანებში“. ამერიკული სახელმწიფოს უამრავი სუსტი წერტილების მიუხედავად აქაური საზოგადოება საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია. ადამიანებს პროგლემის გარშემო გაერთიანების უნარი აქვთ. მიზანი – არა მხოლოდ ფიროსმანის სამოვარის გარშემო მუსაიფი, არამედ ამ „თავყრილობის“ შემდეგ კონკრეტული პროგლემის გადაჭრაც. აი, მაგალითად, ავიღოთ აქაური საზაფხულო ამინდი, როგორც ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით კი ასაკოვანთა, საფრთხე. საშინელი სიცხისა და ტენიანობის დროს სკოლებიდან სახლებში სატელეფონო ზარები გაისმის ხოლმე: „თუ თქვენ არა გაქვთ კონდიციონერი, მოგრძანდით სკოლის კონდიციერებულ შენობაში, აქ გასადილებთ, დაგასვენებთ“; ანდა სხვადასხვა კერძო კომპანიებისა თუ ერთი ადამიანის მიერ შესყიდული სასმელი წყლის ბოთლის ქუჩაში უფასოდ დარიგების აქცია; ანდა ერთი ქალბატონის ინიციატივა, რომელმაც სამეზობლო-სანაცნობოს, თემის მოგბილიზებით ასაკოვანი, მარტოხელა, მოსავლელი ადამიანის ბინაში და არა ინსტიტუციონიზირებულ მოხუცებულთა სახლში მარტოხელა მოხუცების მოვლის ორგანიზება მოახერხა. ადამიანები ერთიანდებიან, რათა მინიმალური (მათ შორის, საკუთარიძ დანახარჯებით მაქსიმალურად ემპათური, კეთილი საძმე გააკეთონ. ეს ქალბატონი CNN-ის ტელეპროექტის „CNN-ის გმირები“ გამარჯვებული გახდა. აღარაფერს ვამბობ ბიზნესმენების თუ „სელებრითების“ საძველმოქმედო აქციებზე თუ ფონდებზე. სახელმწიფო არ ერევა ამგვარ აქციებში. უბრალოდ, წაახალისებს, თუნდაც საშემოსავლო გადასახადების შემცირებით.

* * *

ნებისმიერმა სახელმწიფომ, საზოგადოებამ, ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რაა მისთვის პრიორიტეტი. რა ულირს მას სხვისი სიცოცხლის გადარჩენა-შენარჩუნება. ანუ რა ღირს მისივე სიცოცხლე. თუმცა ამ შემთხვევაშიც სიტყვა „პრიორიტეტი“ ნიცშეანურად ულერს. ვინ და რამ უნდა გადაწყვიტოს ხაზინიდან მეტი ფული საბავშვო პროგრამებზე დაიხარჯოს თუ, მაგალითად, დაავადება ალცჰეიმერის კვლევებზე, რომელიც, როგორც წესი, ასაკოვან ადამიანებს ემართებათ ან იმ ავადმყოფთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რომლებიც კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებიან? აშშ-ში 1970-იან წლებთან შედარებით სიცოცხლის ხანგრძლივობამ 10 წლით მოიმატა, რამაც უფრო გაზარდა სამედიცინო ხარჯები. რადგან ასაკთან ერთად დაავადებები იმატებს, მედიცინა მათი მკურნალობის საშუალებას მოიძიებს, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანი უფრო ჯანმრთელი და შრომის უნარიანი ხდება. არამედ ნიშნავს იმას, რომ მას უფრო ძვირადღირებული, კომპლექსური სამედიცინო დახმარება სჭირდება. არსებობს კი სამართლიანი განაწილების შანსი? ვფიქრობ, არა. ამიტომაც ამგვარი საკითხების მოგვარება მხოლოდ ციფრებსა და ხაზინაზე ვერ იქნება დამოკიდებული, არამედ ზოგადად და კონკრეტულად არსებულ თანაგრძნობის უნარზე, როგორც სასიცოცხლო პრინციპზე. თუმცა როგორ შეიძლება თანაგრძნობის ინსტიტუციონირება, ესეც ძნელად კი არა, ვერაფრით წარმომიდგენია. აქ საუბარი არაა „დედოგრივი“ ანუ უპიროგო სიყვარულის საზოგადოების ან „მამოგრივი“ ანუ პიროგიანი სიყვარულის საზოგადოების მშენებლობაზე. თვალნათელია, რომ ნებისმიერი საზოგადოება მამობრივი ანუ პატრიარქალური სიყვარულის საზოგადოებაა, სადაც ტოპიერარქებს პრემიერ-მინისტრსა და პატრიარქს თავიანთი ფინანსური და კარიერული სტატუსის გამო ჯანმრთელობის გამოკვლევა მსოფლიოს საუკეთესო კლინიკებში შეუძლიათ; მათი დაცემინება თუ კბილის ტკივილი კი იმთავითვე მედიათემაა. ჰოდა, ცხადია მათი ამქვეყნიური სიცოცხლის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში ერთი ჩემი პატიოსნად მშრომელი მეზობლის დედისა, რომელსაც არასამედიცინო განათლების მქონე ვაჟმა თავად მოაჭრა განგრენოზული თითი. იგი ადრე საბჭოთა ჯარში სანნაწილში მსახურობდა და ნანახი ჰქონდა როგორ და რანაირად. სამედიცინო დაწესებულებაში წაყვანის თანხა კი არ ჰქონდა. სხვათა შორის, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, რის შესახებაც მეზობლებმა პოსტფაქტუმ შევიტყვეთ.

საზოგადოებრივი, გნებავთ, სახელმწიფო ემპათია – მარტო ემოციური არა, არამედ პოლიტიკური მგრძნობელობაა, რომელსაც არა აქვს რასობრივი, რელიგიური, კლასობრივი, ასაკობრივი თუ სქესობრივი გარიერები. მაგრამ როგორც ყველაფერს, „თანაგრძნობის ინსტიტუციონირებასაც“ მედლის მეორე მხარე აღმოაჩნდა. ამერიკაში, ფაქტობივად, ოჯახის წევრები მოხუცზე ზრუნვის ინსტიტუტიდან განიდევნენ. ანუ რასაც ადრე ოჯახი აკეთებდა, ახლა სახელმწიფომ, კერძო სააგენტომ იტვირთა, რამაც, ფაქტობრივად, ოჯახი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გააცივა. უფრო სწორად მისი დანიშნულება – ოჯახის წევრების ერთმანეთზე ზრუნვის ფუნქცია შეცვალა. პენსიაში გასულ შვილებს ურჩევნიათ ასაკოვანი მშობლების ცალკე ცხოვრებისა და მათი მომვლელის თანხა იხადონ, ვიდრე თავის ჭერქვეშ წამოიყვანონ და ერთად გაიზიარონ ლხინი და ჭირი.

სახელმწიფოს, რომელიც ადრე თუ გვიან სოციალური პროგრამებით დაინტერესდება, წინ გეწვის ხიდი ელის. პროგლემა მხოლოდ იდეური დილემის გადაწყვეტაში არ არის. ეს მორალური დილემა აუცილებლად გაივლის ხაზინის შესაძლებლობებზე. როგორ შეიძლება გავშვთა სასიცოცხლო უფლებების დაცვა ისე, რომ სახელმწიფო ეიჯიზმის მორევში არ გადავარდეს და მოხუცთა ასევე სასიცოცხლო უფლებებზე თვალი არ დახუჭოს ან არ გაამეორეხარისხოვნოს? როგორ უნდა მოექცეს ამ ორი ასაკოვანი ჯგუფის საბაზისო, სასიცოცხლო უფლებები ლეგიტიმურ, საფინანსო დისკურსში? ადამიანის უფლებები ხომ მხოლოდ სამართლებრივ-პროგრესული მოცემულობა არაა, არამედ ჭუმანისტური, ღირებული კონცეპცია. არის თუ არა დემოკრატია, რომელიც, ფაქტობრივად, უმრავლესობის დიქტატს წარმოადგენს, კარგი გამოსავალი? „კარგში“ მე „სამართლიანს“ ვგულისხმობ. ფაქტია, რომ დემოკრატია ადამიანის უფლებების დაცვის საუკეთესო საშუალება სულაც არ ალმოჩნდა. და თუ ადამიანები ქვეყნის მენეჯერებად ირჩევენ იმათ, ვისაც არა აქვთ სოციალური სამართლიანობის მწავავე განცდა, ამომრჩევლების გარდა ვის უნდა დაბრალდეს საძმეთა ასეთი ვითარება? ამ ელექტორატს ანუ ხალხს, იგივე ადამიანებს ვინღა ან რანაირად ავირჩევთ ან გამოვცვლით? თუ სოციალური პროგრამები ლობისტების ძიცზე და ძიცმაცურზე იქნება დამოკიდებული, დადგება თუ არა დრო, როცა მათი აქტიური ლობიზმი თავდაპირველ ჭუმანისტურ ჩანაფიქრს უცვლა ან ნელ-ნელა გადაუხვევს და ამ შემთხვევაში ვინ გააკონტროლებს მათ კეთილსინდისიერებას? სახელმწიფო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, ანტიკორუფციული კოალიცია, კერძო კორპორაცია, კერძო დეტექტივი, მედია თუ მოკონკურირე ლობისტი? ჩვენს საზოგადოებას „ჯერ“ ამ თემებზე სამსჯავროდ არ სცალია, ისევე როგორც სოლიდაროობისთვისა და თანაგრძნობისთვის, რომელიც სოციო-კულტურულთან ერთად, უალრესად და უპირველესად პოლიტიკური საკითხიცაა. ჩვენებურები ენრიკე იგლესიასის კოცნით არიან გახარებულ-დამწუხრებული, ჰედონისტურს აწვეებიან და კიდევ დიდხანს მიაწვეებიან. სხვათა შორის, ე. იგლესიასი ძველმოქმედიც რომაა, ეს მისი დახასიათებისას არავის გახსენებია. და საერთოდ, ვის აინტერესებს „რას სთქვა ზარატუსტრამ“? მნიშვნელოვანია „ვის აკოცა ენრიკემ“, რადგანაც ლათინოამერიკულ და უკვე ლოკალურ ტელესერიალებთან ერთად, სწორედ ეს ავსებს ჩვენს „დიდი ნარატივის ხვრელს“, რომელიც, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მარტო ქართული არაა. **„თანაგრძნობა, თანაგანცდა არის სუბიექტის ემოციური მდგომარეობის გაიგივება ვინმეს ემოციურ განცდებთან, კერძოდ, ტანჯვასთან. თანაგრძნობა დამრთგუნველად მოქმედებს. თანაგანცდით იკარგება ძალა, თანაგანცდით მრავლდება და რთულდება იმ ძალთა დანაკლისი, რომელიც თანაგრძნობამ შეამცირა. თავად ტანჯვა თანაგრძნობის საშუალებით გადამდები ხდება. ცნობილი პირობების დროს თანაგანცდით სიცოცხლესა და სასიცოცხლო ძალებს ისეთი ზიანი ადგება, რომ მისი მიმართება ტანჯვის მიზეზთან სულელურად გაზვიადებულია. თუ თანაგანცდას იმ რეაქციის ღირებულებით გავზომავთ, რომელსაც იგი ჩვეულებისამებრ იწვევს, მისი საშიშროება სიცოცხლისათვის უფრო ცხადი გახდება. თანაგრძნობა ზოგადად განვითარების კანონს ეწინააღმდეგება, რომელიც არის არჩევანის კანონი. იგი ინარჩუნებს იმას, რაც, წესით, უნდა დაიღუპოს. იგი დგება უპოვართა, ცხოვრებისგან განჩინებაგამოტანილთა დასაცავად და ყველანაირ უიღბლოებს უჭერს მხარს. იგი ცხოვრებას პირქუშად და ეჭვების აღმძვრელად გადააქცევს“ – ფ. ნიცშე.**

ᲘᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ,
ჩვენი საკ. კორ.
ნიუ იორკი

დასასრული. დასაწყისი იხ. № 157

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

სეპარატისტები არჩევნებზე დამკვირვებლების სიმცირის გამო უკმაყოფილოები არიან

ᲐᲤᲮᲐᲖᲘ სეპარატისტები ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლების სიმცირის გამო უკმაყოფილოები არიან. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ღვინჯიამ განაცხადა, მათ „არჩევნებზე„ დასასწრებად მოწვევა დსთ-ს წევრ ქვეყნებსა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას გაუგზავნეს.

— ჩვენ ველოდებოდით უფრო მეტი რაოდენობით დამკვირვებლებს, რადგან პარლამენტმა დსთ-ს ყველა სახელმწიფოს და ყველა საერთაშორისო ორგანიაზაციში გაგზავნა მოწვევა, — აღნიშნა ღვინჯიამ და დასძინა, რომ „არჩევნებს„ მონიტორინგს 27 ქვეყნის 119 დამკვირვებელი უწევს.

მისივე განმარტებით, იმისთვის, რომ სხვა ქვეყნებში „არჩევნების„ ორგანიზება მომხდარიყო, აუცილებელია ამ სახელმწიფოებთან ორმხრივი ურთიერთობები ჰქონდეთ, როგორც ეს რუსეთის ფედერაციასთანაა.

ᲧᲝ-ᲔᲘᲬ-ᲔᲜᲘ

ცხოვრება-მოქალაქეობა ყმაწვილქალ დალასენასი

ყმაწვილქალი დალასენა ორ მდინარეზე გაშენებულ ქალაქში დაიბადა, კეთილ და ღვთისმოსავ დედ-მამას გაუჩნდა, და რაკი უკეთესი არა ჰყავდა, ორივენი შეიყვარა... ჯერეთ კიდევ მიწას არ აცილებულმა, ხუთი წლისა თუ იქნებოდა, ერთ თავის კბილა ბიჭს დაადგა თვალი. პატარა ბიჭსაც გულში ჩაუვარდა პატარა გოგო. და ორივენი სულ იმის ფიქრში იყვნენ, როდის დავიზრდებითო, რადგან იმედოვნებდნენ, რომ უკვე მოწიფულნი არა მარტო თავიანთ სულთ აპოვნინებდნენ ერთმანეთისკენ მიმავალ გზას, არამედ სხეულთაც. მაგრამ როს შეღერდნენ და გასრულწლოვანდნენ, საშინელი რამ ამბავი მოხდა. ქალმა საროსავით შეყარა ტანი და გულწამტან მზეთუნახავად იქცა, ძუძუმკერდი ღვთივკურთხეულ ნაყოფსავით გაუხდა, ბიჭი კი გუგრიანი შეიქნა, ქოსა დარჩა და გან-გან, სიგანეში გაიწია. ვისაც ადრე ენახა, ახლა უკვე ვეღარც კი სცნობდა. დალასენას, რასაკვირველია, თვალში აღარ მოსდიოდა. და როცა აგრერიგად ართვალმა ბიჭმა პირველად კოცნა დაუპირა, დალასენამ სილა გააწნა და უთხრა, არ მომეკარო, შე მატყუარავ, ცხოვრებაში ყოვლის უფრო ძვირფასი რაც მქონდა, სწორედ ის მომპარეო. აგრე განშორდნენ ისინი ერთმანეთს, და დალასენა თავის ტან-სხეულს აედევნა...

მოკლედ, დალასენამ სულ წვრილად გადმომილაგა მთელი თავისი ცხოვრება, რომელშიც განსაკუთრებული არცრა ყოფილა რა, თუ არ ჩავთვლით გავშვის ყოლის გიჟურ ჟინ-სურვილს, რომელი გავშვის ყოლაც არ შეეძლო, და ცხოვრების იმ რამდენიმე კვირას, რომელი კვირებიც წინ კი არა, უკან მიედინებოდნენ. ერთი სიტყვით, დალასენა ერთი ჩვეულებრივი სტუდენტი გოგო იყო, ჩვეულებრივი ყმაწვილქალი, ოღონდ იმის მონაყოლში და მონასტერშიც იმ რამდენიმე კვირის მანძილზე, სანამ ის ჩვენთან დადიოდა, ყველაფერი თითქოსდა ოდნავად ირყეოდა, თითქოსდა დროს რაღაც უშლიდა ხელს, რომ ერთი დღიდან თავისუფლად გაეჭონა მეორეში. ერთ-ერთ ასეთ დღეს, მაგალითად, შუადღემდე ოთხშაბათი იყო, შუადღის უკან კი უკვე ხუთშაბათი დადგა, თანაც უძმე – წმინდა ილია წინასწარმეტყველის დღე.

„ნუ შიშნეულოგ, – მითხრა დალასენამ თითქოს ფიქრს მიმიხვდა, – ხანისად აქ თქვენი კვირიაკე, იგივე კვირადღე, ოთხშაბათად გადაცმული, ხუთშაბათს ელოდება...“

გულში შიშჩამდგარი და ცხვრის ხორცით მუცელამოვსებული ვიწერდი იმის ცხოვრებას და სულ უფრო მეტად და მეტად მიპყროგდა დალასენას შიში, რადგან, ეტყოგა, ვგრძნოგდი, რომ ყოველივე, რაც გარს მერტყა თუ მეხვია, ჩემსავით ამ ყმაწვილქალზე იყო დამოკიდებული რაღაც უცნაურად და სასწაულებრივად.

რაც შეეხება დალასენას ლაპარაკს იმ ორ მამაკაცთან, ის ლაპარაკი მართლაც სალამოობით გრძელდებოდა, როგორც მან თავიდანვე მაუწყა. თუმცა ლაპარაკი კი არა, უფრო მტანჯველი, სიზმრისეული რამ მოლაპარაკება იყოო და უმთავრესად ხელოვნურ განაყოფიერებას ეხებოდაო. ყველაფერი კი შემდეგნაირად დაწყებულიყო. ერთ-ერთ დაქალს დალასენასთვის ახალ მოვლენათა შემსწავლელი რომელიღაც სამეცნიერო საზოგადოების ტელეფონის ნომერი მიეცა, და დალასენასაც მაშინვე დაერეკა. თავდაპირველად ათასგვარი რამ ცნობა მოეთხოვათ, მერე უკვე თავად წასულიყო დალასენა პირველ შეხვედრაზე კარაგიორგის ქუჩის 59 ნომერში. იქ რომ ძველი ორსართულიანი შენობა იდგა, 1890 წელს აშენებული, თავის დროზე თურმე ძმეგ კრსმანოვიჩებს ეკუთვნოდათ, ვაჭრებს. ახლა ეს კარგა გვარიანად გაპარტახებული სახლი სწორედ ის ადგილი იყო, სადაც ზედა სართულზე დღეგამოშვებით იმართებოდა ხოლმე სალამო ხანის შეხვედრები. მავან ორ მამაკაცთან ლაპარაკის პირველი „გაგრძელება“, რომლის გახსენებაც დალასენამ შეძლო, ჩემს რვეულში აგრეა აღნუსხული:

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 146, 151, 155

კარაგიორგის ქუჩის 59 ნომრის სახლში ჩამოვარდნილი ლაპარაკის დასაწყისი

ერთხელ საღამოხანს, როს მასპინძელი ბელგრადში არ იმყოფებოდა, კარაგიორგის ქუჩის 59-ე სახლს სტუმრები ეწვივნენ. გასაღები სტუმართათვის თვითონ მასპინძელს დატოვებინა, და ისინი ერთ-ერთ ოთახში ისხდნენ ბუხრის წინ, რომელშიც მუხისა და ძლიავის მუგუზალთ ტკაცატკუცი გაუდიოდა. სულ სამნი იყვნენ. ორს თალხი სამოსელი ეცვა, რომელთაგან ერთ-ერთს მთელი საღამო კრინტი არ დაუძრავს. მესამე ყმაწვილქალი დალასენა იყო. შედარებით ახალგაზრდა სტუმარი მშვიდი მტკიცე ხმით მიმართავდა ყმაწვილქალ დალასენას. როგორც ნაჭრელებიდან ჩანდა, ამ სტუმრის წინდები საგანგებოდ მოექსოვათ მარჯვენა და მარცხენა ფეხისთვის. მან ლაპარაკის დასაწყისშივე აცნობა დალასენას, რომ შეხვედრაზე მიწვეული იყო როგორც ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელთაც მიმართეს ახალ მოვლენათა შემსწავლელ უნივერსალურ სამეცნიერო საზოგადოებას და ხელოვნურ განაყოფიერებაში ხელის შეწყობა სთხოვეს. გარდა ამისა, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დალასენა, როცა უნდოდა, მაშინ იტყოდა უარს შეთავაზებულ საქმეში მონაწილეობაზე. ოღონდ ჯერ გოლომდე უნდა დამიგდო ყურიო, უთხრა, ვინაიდან განაყოფიერება, რაზედაც გელაპარაკები, სრულიად განსაკუთრებული რამ პროცესიაო. მეტი სიცხადისთვის მან თავისი სათქმელი რამდენიმე ნაწილად დაყო. თავდაპირველად იმ სამეცნიერო აღმოჩენაზე ილაპარაკა, რომლის გამოც იყვნენ შეკრებილნი.

L პლაზმა

ახლახან აღმოჩნდა, რომ ადამიანის სპერმის გარდა დედამიწაზე არის თესლის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც არც ადამიანური წარმოშობისაა, არც ცხოველური და არც კიდევ მცენარეული. იმისათვის, რომ მერე არ აგვერ-დაგვერიოს, ავდგეთ და ამ თესლს ვუწოდოთ, მაგალითად, L პლაზმა. ნამდვილად არ ვიცით, ეს L პლაზმა დედამიწაზე თავიდანვე იყო თუ, რაც გაცილებით უფრო შესაძლებელია, მხოლოდ ახლახან გაჩნდა.

– შენი ფიქრით, მე რა, ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილი ვარ საიმისოდ, რომ კამათელი გააგორო და მოიგო? საიდან გამოტყვრა ეგ საოცრება? – ბინდგუნდში გაისმა ყმაწვილქალ დალასენას ხმა.

– ყოვლის უფრო შესაძლებლად ის ჰიპოთეზა ჩანს, რომლის თანახმადაც სიცოცხლის თესლი კოსმოსიდან მოხვდა დედამიწაზე. ალბათ, ამავეს თქმა შეიძლება L პლაზმაზეც. თუმცა L პლაზმით განაყოფიერება გაცილებით რთულია ანდა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ფრიად განსხვავდება იმ წესისგან, რა წესითაც არსებანი მრავლდებიან ამქვეყნად.

მ ა მ ა

– ახალ მოვლენათა შემსწავლელი ჩვენი უნივერსალური სამეცნიერო საზოგადოების განკარგულებაშია თქვენი საკუთარი ხელის მქონე კომპიუტერი და, ამას გარდა, გვაქვს კიდევ ხუთი კომპიუტერი, რომელთაც სხვა სახელები ჰქვიათ: ერთი ჰანიბალია, მეორე უაიტი, მესამე აბრაჰამი, ხოლო მეოთხე და მეხუთე ამ სახლის პატრონების თანამოსახელეებია, დიახ, ამ სახლის, რომელშაც დღეს საღამოს მასპინძლობა გაგვიწია, ლაპარაკია ქალბატონ ისიდორასა და ბატონ ლისინსკიზე. ეს კომპიუტერები, როგორც რომ თქვენი კომპიუტერი, დატვირთულია ხსენებულ პირთა ფიზიკურ და ფსიქიკურ თავისებურებათა არა ერთი და ორი ტონა მონაცემით. სუყოველი ეს პირი ერთგვარად, ოღონდ ძალიან რთულად, მომავალი ნაყოფის მამაა.

– მერედა, მაგათ სუყველამ ერთად უნდა ჩამისახოს ბავშვი? ქალის ჩათვლით? შენ რა, შენი მარცხენა ფეხით, მეგობარო, შენივე მარჯვენა ფეხის გახდა შეგიძლია? – წარმოთქვა სიბნელეში დალასენამ და წაუმღერა.

ქვა მემსახურა ცოცხალსაც
და მკვდარსაც მემსახურება...

– ეგ რასა ნიშნავს, პატივცემულო დალასენა? – დაბნეული შეეკითხა თალხსამოსლიანი ახალგაზრდა კაცი.

– ეს იმ ბავშვის ეპიტაფიაა, რომელზედაც ლაპარაკობ. თქვენ იცით თქვენი საქმისა, მე ეგ აღარცრა არ მეხება. მშვიდობით, ბიჭებო, მე წავედი...

– ეგრე ნუ ნერვიულობთ, დალასენა. ეს ადამიანები უბრალოდ L პლაზმის მატარებელნი არიან. თქვენ მხოლოდ ერთ-ერთ ამათგანთან გექნებათ საქმე, ბატონ ლისინსკისთან. აქ, ამ სახლში. იმის სახლში. დანარჩენთ თვალით ვეღარ ნახავთ. ვეღარც იმის ცოლს, ქალბატონ ისიდორას. ის ცალკე სახლში ცხოვრობს, ეზოში რომ არის. იქიდან მარტო ამ სახლის კიბე ჩანს, რომელ სახლშიც ახლა ჩვენა ვართ. ჩვენს საქმეს, გუნებრივია, საგულდაგულოდ ვმალავთ ქალბატონ ისიდორასგან, რადგან იმის ეჭვიანობას მთელი ამ ამბის გაფუჭება შეუძლია.

L პლაზმის გადატანა

L პლაზმით განაყოფიერება ყოველთვის იქნებ ისე ზედმიწევნით არც მოხდეს, როგორც რომ მოველოდით. ქალბატონ ისიდორას შეუძლია რომ, მაგალითად, L პლაზმა გადასდოს თავის ქმარს ანდა რომელსამე თავის საყვარელს. შეუძლია აგრეთვე, რომ თვითონვე გათესლიანდეს. მაგრამ ეს ჯერეთ კიდევ სულაც არ არის განაყოფიერება.

ეს მხოლოდ და მხოლოდ L პლაზმის გადატანაა, გინდ გადადება თქვი, რომელ გადატანა-გადადებაშიც მამაკაცებთან ერთად აუცილებლად ერთი მდედრი გადამტანიც უნდა მონაწილეობდეს, ოღონდ ეს თქვენ არა ხართ, პატივცემულო დალასენა. თქვენ გადამტანი კი არა, მომავალი დედა ხართ. ამ ნივთიერებას მხოლოდ მაშინ შეუძლია განაყოფიერების უნარიან თესლად გადაქცევა, როცა უკვე ზემოხსენებული ხუთი შუამავლის სხეულთა წიაღ გაივლის. ოთხი მამრისა და ერთი მდედრის სხეულთა წიაღ. თანაც ერთ-ერთი შუამავლის სხეული ორჯერ უნდა გაიაროს, აუცილებელი დროის შუალედით, პროცესის თავში და ბოლოში. ამას გარდა, L პლაზმამ გარკვეული დრო უნდა დაყოს თითოეული შუამავლის ასოობაში, ანუ ორგანიზმში. ყოველივე ამის გათვლა გარკვეულწილად შევძელით, და ახლა უკვე განსახილველი ოპერაციის სწორი რიტმის უზრუნველყოფაც ხელგვეწიფება.

განაყოფიერების ვადა და პიროგები

თუმცა, არის კიდევ ერთი იმის ფრიად მნიშვნელოვანი პიროგა, რომ მთელმა ოპერაციამ წარმატებულად ჩაიაროს. L პლაზმის გადაცემისა თუ ჩათესვის ჟამს ოპერაციაში ჩართული ხუთი პირიდან თითოეული უნდა იმყოფებოდეს გარკვეულ ფაზაში, რომლის ზუსტი განსაზღვრა შეიძლება ასტროლოგიის საშუალებით და რომელსაც აქვს დადგენილი სახელწოდება. ეს არის ტრანზიტ, აღნიშნული როგორც: „მე სრულად არ მესმის, რა ხდება სინამდვილეში“.

მილორად პავიჩი

ბოლო

მომაკვლინებელი ცოლვა

სერბული რომანი

ასეთი ტრანზიტული ფაზა გრძელდება დაახლოებით სამ თვეს. ბატონი ლისინსკი მეულლესთან ერთად სწორედ ახლა იმიტომ წავიდა სამოგზაუროდ, რომ ჩვენმა კომპიუტერებმა შეადგინეს ჩასახვისათვის ხელსაყრელი, უფრო ზუსტად, აქტიური, დღეების რუკა ხუთივე ჩამოთვლილი პირისთვის, რომლებიც აგრერიგად გამოთვლილი პიროგებით შევიდნენ L პლაზმის გადატანისა თუ გადაცემა-გადადების პროცესში. ამ ხუთი პირიდან მხოლოდ ერთმა იცის, სინამდვილეში რაზეა ლაპარაკი. ეს L პლაზმის პირველი და უკანასკნელი გადამტანი თუ გადამცემ-გადადები ბატონი ლისინსკია. იგი მგზავრობიდან სწორედ იმ დროს დაბრუნდება, როცა, პატივცემულო დალასენა, თქვენც შეხვალთ ტრანზიტულ ფაზაში, რომლის სახელწოდებაა, როგორც უკვე გითხარით: „მე სრულად არ მესმის, რა ხდება სინამდვილეში“. ამრიგად, განაყოფიერება განხორციელდება ქალზე მარჯვედ და ხელსაყრელად, ანუ ზედ იმ დროს, როდესაც ლისინსკის აღნიშნული სახელწოდების ტრანზიტული ფაზა მთავრდება, ხოლო თქვენი იწყება. იგი იუკატანიდან ჩამოიტანს თქვენთვის ხუთი ადამიანის სხეულთა წიაღ გამოვლილ თესლს. აქ, ამ სახლში, ერთ ან ორ ღამეს იმასთან ერთად გაატარებთ. და მორჩა, გათავდა.

– არა. არც მორჩა და არც გათავდა. – ეგ აქიებე, მგონი, შენ თვითონაც არა გჯერა.

– მართალი ხართ. არც მორჩენილა და არც გათავებულა. არის კიდევ ერთი მომენტი, მთელი ოპერაციისთვის სარისკო და სახიფათო. ექიმთ ჯერეთ კიდევ მეხუთე საუკუნეში იცოდნენ, რომ ნაყოფის ბედი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გუნება-განწყობილებაზეა ჩასახული – „მხურვალეზე“ თუ „ცივზე“. ეს ჩვენს შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია. უკეთუ სქესობრივი კავშირისგან განცდილი ტკბობის ძალას ათბალიანი სიტემით შევაფასებთ, წინასწარ შეიძლება იმის თქმა, განაყოფიერება ილბლიანი იქნება თუ არა. L პლაზმის წარმატებული გადატანა და, შესაბამისად, წარმატებული განაყოფიერება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ტკბობის ხარისხის შეფასება შვიდ ბალზე

მეტს შეადგენს. უკეთუ შეფასება უფრო დაგალია, გადატანა თუ გადაცემა-გადადება და, მაშასადამე, განყოფილებისა არ მოხდება. ამიტომ კომპიუტერებმა დაგეგმეს რამდენიმე ეროტიკული შეხვედრა იმ პირთა შორის, რომელთა შესახებაც გელაპარაკეთ და ამიტომვე იმათ არ უწყიან, თუ რა პროგლემის გადაჭრაში მონაწილეობენ. ყოველივე სავსებით გუნებრივად უნდა გამოიყურებოდეს...

— ეგ შეფასება მაინც რალამ მოგაფიქრებინათ! ჩვენ რა, სკოლაში ვართ? იქნებ ახლა ისიც მიგრძანოთ, რომ იმას შარვლის ღილები შევუჭამო, რათა კმაყოფილი დამრჩეს?

— არა, აქ ლაპარაკი ლისინსკიზე არ არის. ამ შემთხვევაში ფასდება ის ტკბობა, რის განცდაც თქვენ შეგიძლიათ, ყმაწვილქალო დალასენა...

* * *

აქ ახლა უნდა შევწყვიტო ყმაწვილქალ დალასენას „ცხოვრებასთან“ დაკავშირებული ჩანაწერი. ამის მიზეზი სრულიად უბრალოა, მაგრამ ამ უბრალო რამ მიზეზმა დაუჯერებლად შეატრიალა მთელი აქამდე თხრობილი საქმე. ერთხელ დილით ის საშინლად აღელვებული შემომივარდა:

— როგორ ფიქრობ, მაგათ ნამდვილად შეუძლიათ ჩემი განაყოფიერება?

— ვერ გეტყვით... მომავალი ფრიად უცნაური რამ არის. მომავლის ჩვენეული ცოდნა ეგრევე ანადგურებს მაგ მომავლად სახელდებულ ხვალინდელობას, და ეგ ხვალინდელობა თუ მერმისი უმალ წყვეტს თავის მომავლობას-მეთქი, — მივუგე. — მომავალი, გინდ მყოგადი თქვი, ისევე იცარება ჩვენს ცხოვრებაში, როგორც რომ თოკმა იცის დაცარვა... მაგრამ ღრმად მჯერა, რომ სუყოველი მომავალი ადამიანის მხარეზეა, რათა მან, ადამიანმა, მარჯვედ გამოიყენოს თავისი შანსი... თუმცა, თუ ნებას დამრთავ, რაღაცას შეგეკითხები.

— შემეკითხე.

— დარწმუნებული ხარ,რომ ეგ ორნი ნამდვილად არსებობენ და არ გესიზმრებიან ყოველ საღამოს?

— რას ნიშნავს ეგ „გესიზმრებიან“? — დაიბნა დალასენა. — თუ და ხარ, ყურზე იჩქმიტე, ისინი კი არა, ყოველ საღამოს შენ მესიზმრები. აგერ ახლაც, როცა ამას ვლაპარაკობთ და როცა შენ იწერ, ეს არის სიზმარი. და არა ის. სიზმარი შენა ხარ, ნუთუ ვერ გაგიგია? რაც სიზმრებში გრიყვები და სულელები არიან, ვინ მოთვლის! შენცა და ეგ შენი ჩანაწერებიც, შენ გარშემო თუკი რამ არის, ყველაფერი, თვით ამ თქვენი ფერისცვალების მონასტრის ჩათვლით, სულ ჩემი სიზმარია. თუ არა გჯერა, მოდი მცირე რამ შემოწმება მოვაწყოთ, — დასძინა დალასენამ. — მითხარი, სიცილი შეგიძლია? არ შეგიძლია, უკვე შეგამჩნიე. არადა, იცი, რატომ არ შეგიძლია? იმიტომ რომ ჩემს სიზმრებში არცვის სიცილი არ ძალუძს... თუ კვლავინდებურად ჩემი არა გჯერა, შეხედე ამ ღვთისმშობლის ხატს, რომელიც სარკეზეა დახატული და რომელ სარკეზედაც ის გრძნეულ წყაროსთვალს ამწყალობნებს, კურთხევით ლოცავს. წყაროს წყალს ფერმწერი საღებავით არ შეხებია, მინა მინად დატოვა, რაც ჩანს კიდეც. მიდი, ეცადე შენი ანარეკლის დანახვა მაგ წყალში. დაინახავ, რომ სარკეში თავი არ გაგია...

წყაროსთვალში ხატს ჩავხედე და გავოგნდი.

— რას იტყვი, გაგია, მანდ თავი?

— არა, —მივუგე გაძვავებულმა.

— ეგ იმიტომ ხდება, რაკი სიზმარი სარკეში არ ირეკლება. შენ კი ჩემი სიზმარი ხარ.

აი რას უგნოგდა ყმაწვილქალი დალასენა. და უცებ წამომაგონდა, რომ პირველ დღეს, როცა მონასტრის ეზოში შემოსულს ზურგი შევაქციე და სასტუმროს, ჩვენებურად კი უცხოთსადგურის, კარის გაღება ვცადე, ის კარი იმიტომ ვერ გავაღე, ვინაიდან სახელური არა ჰქონდა. ახლა ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ის კარი თურმე მარტო სასტუმროს კარი კი არა, იმ სიზმრის კარიც იყო, რომელი სიზმრიდანაც გარეთ გამოსვლა ვერც მაშინ მოვახერხე და ვერც ამ წამს. ამიტომ ვუთხარი ყმაწვილქალ დალასენას:

— ქალიან შეშინებული ვარ! მაგათ შენი მეშვეობით ემანდ მეც არ გამანაყოფიერონ! ვითომ შესაძლებელია სიზმარში გავშვის ჩასახვა?

— შენ რა, ჩაისახავდი? — მკითხა ყმაწვილქალმა დალასენამ. — განა მილიონ წელიწადზე მეტი ხნის მდედრთ შეუძლიათ გავშვის ყოლა?

— ვინ არის მილიონ წელიწადზე მეტი ხნისა?

— ვინა და შენ. ყველა სიზმრისეული ზმანება ისევე ძველია, როგორადაც ადამიანის ღიმილი.

მეც ავდექი და ეგრევე მივახალე:

— მაგრამ სიცილი ხომ ადამიანზე ხნიერია!

— წადი შენი... — მომიგო ჯას უხად დალასენამ და შემომთავაზა: — დახურე, ჩემო ძვირფასო, ეგ შენი რვეული, შესვენების დროა. გეყოფა ჯღაბნა. ახლა უკვე უნდა გავიღვიძო და ახალ შეხვედრაზე წავიდე, ხოლო შენ რა მოგივა, შენ იცი და შენმა ღმერთმა.

* * *

ჩვენ ორივენი, როგორც საგანგებო კომისიის წევრნი და ამ საქმისთვის სრული უფლებამოსილებით აღჭურვილნი პირნი, ახალ მოვლენათა შემსწავლელ უნივერსალურ სამეცნიერო საზოგადოებას წარმოგიდგენთ საბოლოო ანგარიშს „დალასენას“ პროექტის თაობაზე. ყმაწვილქალი დალასენა ბოლოსწინა შეხვედრაზე კარაგიორგის ქუჩის 59-ე სახლში დანიშნულ დროს მოვიდა და მთელი პროექტის საკვანძო კითხვა დასვა:

როგორი შესახედაობისა

იქნება ახალშობილი?

— რასაკვირველია, თქვენგან მაგ შეკითხვას ველოდით, რადგან სრული უფლება გაქვთ, რომ თქვენი შეკითხვის პასუხი მანამ იცოდეთ, სანამ ჩვენს წინადადებას დაეთანხმებოდეთ, — ვუთხარით ჩვენ ორივემ დალასენას. — რამდენადაც ჩვენ ვიცით, გავშვი ზუსტად ისეთივე შესახედაობისა იქნება, როგორიც ყველა სხვა ახალშობილია, ოღონდ სუყოველ იმის ორგანოს, გრძნობათა ორგანოებსაც, ცხადია, და სუყოველ ასონასხამს სულ სხვაგვარი დანიშნულება ექნება, ვიდრე დანარჩენი ადამიანებისას. მაგალითად, თითოეულ იმის თვალში სამი გუგა იქნება. იმ ახალშობილ გიჭსა თუ გოგოს თავისი მზერის მიპყრობა სამყაროს ყოველი მიმართულებით შეეძლება. თანაც სინათლის სიჩქარეზე გევრად მეტი სიჩქარით... პოეტურად თუ ვიტყვით, შეიძლება თქმა:

ერთი გუგა უმზერს დრო-ჟამს,
მეორე კი — მარადიულს,
კუთხის უკან თუ რამეა,
ის მესამის სამზერია...

ამ სიტყვებმა სული აუგანგაშეს დალასენას, და მან დამფრთხალმა მკითხა:

— შენ რა, გინდა, რომ მახინჯი ვშობო? თუკი თანახმა გავხდი, მითხარი, ჩემი გავშვი მე დამემგავსება? თუ გინდაც თავის მამებს? თუ მამა-მდედრს?

— მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი საქმეა. არა, ის თქვენ არ დაგემგავსებათ. არც იმათ, თქვენ იმ მომენტიდან დაიწყებთ თქვენი გავშვის დამსგავსებას, როდესაც განაყოფიერება მოხდება. ასეა ეს, და ამ ამგის შეგუება მოგიწევთ...

* * *

ერთხელ საღამო ხანს, როცა ყმაწვილქალ დალასენას ვარსკვლავნი „მე სრულად არ მესმის, რა ხდება სინამდვილეში“ სახელწოდების ტრანზიტში შევიდნენ, დალასენამ კარაგიორგის ქუჩის ნომერ 59 სახლში დარეკა, სადაც უცდიდა გატონი ლისინსკი, ვახშამი და გაშლილი ლოგინი, ხოლო ეზოში რომ ფლიგელი იყო, იქ ლისინსკის ცოლი ისიდორა დაგორიალებდა და ხელში გატენილი რევოლვერი ეჭირა. ასეთ საფრთხეს, რა თქმა უნდა, ჩვენ ვხედავდით, მაგრამ მაინც წავედით რისკზე, რადგან იმედი გვქონდა, რომ ყმაწვილქალი დალასენა თავწყალს გავიდოდა, ამ ვითარებიდან აუცილებლად დაიძვრენდა თავს.

უკვე თითქმის შუაღამისას სახლიდან რომ გამოდიოდა, დალასენა დაახლოებით შემდეგს ფიქრობდა: „ეს თუ წმინდა წყლის ცხრანი არ არის, მაშ, არა მცოდნია, რასა შვრებიან სხვა ქალები ლოგინში და სად იყრიან იმ საოხროს, რათა საუკეთესო შეფასება დაიმსახურონ...“

ამ დროს პატარა ფლიგელში წინკარის სიბნელიდან თავისი ქმრის საყვარელს თვალყურს ადევნებდა ქალბატონი ისიდორა და მზად იყო, რომ ესროლა დალასენასთვის მინის კარის წიაღ, რომელი კარიც შუაზე ყოფდა ამ ორი შენობის კიბეს. მაგრამ არ ესროლა, რადგან ერთ ადგილას გაქვავდა გაოცებული. კარაგიორგის ქუჩის 59-ე სახლის განათებულ კიბეზე ჩამოსვლისას ყმაწვილქალმა დალასენამ თავი მიაბრუნა და სწორედ ამ მინის კარის წიაღ პირდაპირ რევოლვერის ლულაში შეიხედა, ანუ პირდაპირ ქალბატონ ლისინსკიას შეხედა. თითოეულ თვალში დალასენას თითო კი არა, სამ-სამი გუგა ჰქონდა, ასე რომ თვალები სამ-სამ ადგილას გახვრეტილ ღილთ მიუგავდნენ. და ეს თვალები ღამის გამჭოლავად მშვენივრად ხედავდნენ ქალბატონ ისიდორასაც და 6.35 კალიბრის ტყვიასაც. იმისი რევოლვერის ლულაში. თავიანთი პატრონისა და გასაკვირად, ისინი ქალბატონ ისიდორას კაბის ქვეშ, ათქვირებული გულმკერდის სიბნელეში, ორ გამჭვირვალე ჟუჟუსთავს ხედავდნენ. ყმაწვილქალი დალასენა თავის დაკვრით მიემშვიდოგა ქალბატონ ლისინსკიას და ლაღად გაუყვა კარაგიორგის ქუჩის შუაღამეს.

ყმაწვილქალს სრულად არ ესმოდა, რა ხდებოდა სინამდვილეში, მაგრამ წყვდიადი უკვე განვლილი ჰქონდა. ჩვენთვის კი ყველაფერი ნათელი იყო. ახლა დალასენადან თავისი სიყრმის შვილი იმზირებოდა.

სიზმართა მეგადური

მოქმედება ხდება თეოდორ მილიშიჩისა
და ვაჭარ ნიკოლიჩის
სახლებში, კარაგიორგის ქუჩა, 42 და 44

ნაყროვანება, ანუ მუცელღმერთობა

მეოთხეა შვიდი მომაკვდინებელი ცოდვიდან.

დანტე ნაყროვანთ „ჯოჯოხეთის“ მეხუთე და მეექვსე სკნელებში და „სალხინებელში“ ათავსებს. ჰიერონიმუს ბოსხი იმათ ღორების კოლტად ხედავს, ხოლო შაგალი ნაყროვანთ შვიდთითა ასტროლოგიურ ხელისგულზე უკავშირებს შუათითს, რომელიც მიშვერილია მზეს.

ორი წერილი

უცხო ადამიანთაგან ხშირად ვიღებ ნარ-ნარ წერილთ. ახლა ხუთშაბათსაც მივიღე. ერთ დილით ორი ასეთი წერილი მომიტანეს, ორივეთი ვახშამად მიწვევდნენ. თანაც დრო და დღე ორივეში ერთმანეთს ემთხვეოდა. აი, რა ეწერა ერთ-ერთში:

ჩემო საყვარელო,

რომელი დიდი სიყვარული არ წასწყდომია არაერთ გადაულახავ წინააღმდეგობას?

ჩემს სიზმრებში ახლა უკვე შემოდგომაა და ღამეა, შენ შემდეგ კი დარჩა რამდენიმე გამოუგველი ლანდი და ხილის სურნელი. შენს ლოდინში ოთახი მივალაგე და ყვავილებით მოვრთე, თხის რძის წმინდაკგილა სავარცხლით ჩამოვიგე თმა, მაგრამ სიზმართ კვლავ არეულ-დარეულად ვნახულობ, თმა კი სიზმარში აგურძგნული მაქვს და არცრა ყვავილი შიგ არ მიჩანს, რომელნი ყვავილნიც სიცხადის სუნს არ დააფრქვევდნენ, მაგრამ სიზმარში აყვავდებოდნენ. არა მაქვს არც სავარცხელი, რომელსაც ორივეს დავარცხნა შეეძლო, შენიც და ჩემიც...

სარკეებში კარგად გამოვიძინე და არც კიდევ სააგაზანოებში ნებივრობა დამიკლია, ახლა იქიდან გამოქცევა მინდა, ცხოვრებაში ყოფნა მწადს.

დღეს საღამოს, როგორც კი საკათედრო ტაძარზე საათის ციფერბლატი გათენდება, პატარა საქალაქო გაზარში დაგელოდები. მოდი, ერთხელ კიდევ შეავლე თვალი შენს გარდასულ სიყვარულს. შენ ისევე ვნებიანად მწყურიხარ, როგორც რომ ცოცხალი არსებობ ეტანებაგ მიწას, რომელსაც ადამიანის შობა ძალუძს. ამავესე შენი ტრფიალითა და წყალობით: ჩემთა ბაგეთა ყოველ კუთხეში გაჩენილი მწარე ცრემლი წმინდა ციური ცრემლის ამბავს მასწავლის, რომელი ცრემლიც მკურნალია. იფიქრე, ეს იქნებ ჩვენი ბოლო შეხვედრაც არის საშინელი დასასრულის წინარე.

შენ ის გიხმობს, ვისი ბედის თარგზე გამომჭრელიც შენა ხარ.

შენი ***ვ.ვ.***

P. S. სავას ფერდოგზე ორი საუკუნის წინანდელი ორი ლამაზი ცალკე სახლი დგას. ერთ-ერთს „ჩაით შელებილი სახლი“ ჰქვია. ის კარაგიორგის ქუჩაზეა, სახლის ნომერია 44. იქ, „ჩაით შელებილ სახლში“, დაგელოდები ვახშამად. უკეთუ მიწვევას მეზობელი სახლიდანაც მიიღებ, რომლის ნომერია 42 და „ცის ფერ სახლად“ არის ცნობილი, გაფიცებ, უპირატესობა ჩემს წინადადებას მიანიჭე.

* * *

აი აგრე ეწერა სიტყვასიტყვით ერთ-ერთ წერილში იმ ორიდან, უცნობ გამომგზავნელთაგან იმ დღეს რომ მივიღე. მეორე წერილით უკიდურესად მოკლედ მეპატიჟებოდნენ ვახშამად იმავე საღამოს, თუმცა სხვა მისამართზე: მთავაზობდნენ ცისფერ სახლში მისვლას (კარაგიორგის ქუჩა, 42ძ. როგორც ჩანს, სწორედ ამ მიპატიჟებაზე მწერდნენ პირველ წერილში. მეორე წერილიც ინიციალებით იყო ხელმოწერილი: დ-რი **ი.ს.**

„ჩემი სული სანარცხე ორმოში როდი მაქვს ნაპოვნი-მეთქი, — პირველ ფიქრად ამან გამიელვა თავში, — რატომ უნდა მივიჩემი საკუთარი ფეხით იმასთან, ვისაც თავისი სახელის გამხელაც კი არ უნდა?“

მაგრამ მერე ისევ წერილთ მივუბრუნდი და უნდა გამოვტყდე, რომ ზოგი რამ სიტყვა თუ ფრაზის ნაწყვეტი მეცნაურა... ვიაზრიკვალე, რომ მეორე მიპატიჟება, რომელსაც ხელს ვინმე „დ-რი **ის**“ აწერდა, კაცს ეკუთვნოდა, ხოლო პირველი, რომელიც ჩაით შელებილ სახლში მეპატიჟებოდა, რასაკვირველია, ზედგამოჭრილი სამეჯნურო უსტარი იყო, მავანი ქალისგან გამოგზავნილი. აქ ერთი ძველი გამონათქვამი გამახსენდა იმის თაობაზე, რომ ოდეს დროულ კაცს სიყვარულს სთავაზობენ, ეს მუდამ ისეთი რამ საჩუქარია, რომლის იმედად ყოფნის უფლება დღემოჭმულს არა აქვს. და გადავწყვიტე ამ სახლების ამგის წვლილად შეტყობა.

ამრიგად, ორსავე წერილში ლაპარაკი იყო ლამაზ, მაგრამ კარგა გვარიანად სიძველეგამჯდარ შენობაზე, სავას პირას ერთმანეთის გვერდიგვერდ რომ იდგნენ. ორივე XIX საუკუნის გოლოს აეშენებინათ; ერთი ოდესლაც თურმე ვინმე ვაჭარს, გვარად ნიკოლიჩს ეკუთვნოდა, და სახურავზე რაღაც გუმბათისდამაგვარი რამ ედგა; მეორე, რომლის პირველ სართულზე პატარ-პატარა მაღაზიები იყო განლაგებული, ხოლო მეორეზე საცხოვრებელი ბინები, ვინმე თეოდორ მილიშიჩის საკუთრება გახლდათ. როგორც ერთის, ისე მეორე სახლის ზედა სართული კლიტით იყო დაკეტილი. და თუ ვინმესთვის ხმის გაგონებას ეცდებოდით, პასუხად მხოლოდ მდუმარება გამოგეხმაურებოდათ. მეზობლებმა ისიც მითხრეს, მანდ, მალლა, ერთი მუხის კარია, რომელიც ორსავე შენობას აერთებსო. აი სულ ეს იყო, რის შეტყობაც შევძელი.

ქართულად გადმოაენა

გურამ გოგიაშვილმა

(გაგრძელება მომავალ შაბათს)

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

25 აგვისტოს სოჭში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მიიღო სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელი ედუარდ კოკოითი. მათი შეხვედრა შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს. შემოდგომით სამხრეთი ოსეთის ლიდერი დატოვებს თავის პოსტს, იგი შევა ისტორიაში არა მხოლოდ როგორც პირველი ხელმძღვანელი, თუნდაც ვიღაცის მიერ აღიარებული რესპუბლიკისა, არამედ პრეზიდენტიც, რომელმაც ვერ შეძლო აღედგინა ეს რესპუბლიკა საძართველოსთან ომის შემდეგ, მიუხედავად რუსეთის გულუხვი დახმარებისა. სწორედ მომავალი არჩევნები სამხრეთ ოსეთში, ჩვენი მონაცემებით, განიხილებოდა გატონების მედვედევისა და კოკოითის შეხვედრაზე.

ჟურნალისტებმა მხოლოდ ხუთი წუთი იხილეს რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთი ოსეთის ლიდერების ნახევარსაათიანი შეხვედრიდან. მაგრამ ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა, რომ გაეგოთ, თუ კერძოდ რა აკავშირებს რუსეთს და იმ სახელმწიფოს, რომლის დამოუკიდებლობაც მან ზუსტად სამი წლის წინათ, 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარა. ეს, უწინარეს ყოვლისა, დაუშრეტელი რუსული დახმარებაა. მის შესახებ საუბრობდა ედუარდ კოკოითი, როდესაც მადლობა გადაუხადა დიმიტრი მედვედევს „რთული და ვაჟკაცური გადაწყვეტილებებისთვის“, რომლებიც მიიღო რუსეთის პრეზიდენტმა სამი წლის წინათ.

— ეს გადაწყვეტილებები იყო ჩვენი მცირერიცხოვანი ხალხის გედისწერის განმსაზღვრელი. და დღეს ჩვენ გვაძლს შესაძლებლობა ვიცხოვროთ მშვიდობიანად და განვავითაროთ ჩვენი სახელმწიფო. ამჟამად მიმდინარეობს დიდი უწყებათშორისი ჰუმანიტარული აქცია, რომელსაც ახორციელებენ რუსეთის სამინისტროები და უწყებები უშიშროების ფედერალური სამსახურის, რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის ეგიდით. ზუსტად გუშინ მოგვაწოდეს დიდი ჰუმანიტარული დახმარება, — გვიამბო გატონმა კოკოითმა.

ამასთან დაკავშირებით მან უმალვე შემდეგი დასკვნა გააკეთა:

— ესე იგი, ჩვენი ურთიერთობანი ვითარდება მეტად დინამიურად.

ამ დინამიკამ, სხვათა შორის, განსაკუთრებული გავლენა ვერ მოახდინა სამხრეთი ოსეთის აღდგენაზე, რომელიც დაზარალდა სამი წლის წინანდელ ხუთდღიან ომში. რესპუბლიკაში, როგორც აღიარა თავად ედუარდ კოკოითმა, ვისაც ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა სასტუმრო „მარინს პარკ ჰოტელში“ დიმიტრი მედვედევთან ურთიერთობის შემდეგ, ძველებურად დანგრეულია მუნიციპალური და კერძო სახლების 70 პროცენტი. და ეს მაშინ, როდესაც მოსკოვმა, მისი სიტყვებით, 2008 წლიდან სამხრეთ ოსეთს გამოუყო 26 მილიარდი რუბლი.

— თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ ბევრი სახლი დაზიანდა ჯერ კიდევ 1989 წელს, — დააზუსტა გატონმა კოკოითმა. — არის ისეთი სახლებიც, რომლებსაც პატრონი აღარ ჰყავს — ესე იგი, მას ველარავის აღუდგენ.

შეკითხვაზე, ხომ არ წყინს მას, რომ ტოვებს პრეზიდენტის პოსტს ისე, რომ ვერ აღადგინა დანგრეული, ედუარდ კოკოითმა უმალვე უპასუხა:

— საწყენია, რომ წავალ ისე, რომ ვერ შევძელი აღდგენის პროგრამის რეალიზაცია.

თუმცა მან უმალვე მონახა თავისი გამართლების საფუძველი.

— სამხრეთი ოსეთი დაანგრიეს არა ხუთ დღეში, არამედ 18 წლის განმავლობაში ანგრევდნენ მას (აძედან ათი წელი ის უდგას რესპუბლიკას სათავეში). ობიექტურად უნდა მიუდგე საკითხებს. დაანგრიო — ეს არ ნიშნავს, რომ ააშენო. მშენებლობა უფრო რთული. მაგრამ მიხარია, რომ მომავალ პრეზიდენტს შეძმნილი აქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ მან ეს საქმე მიიყვანოს ბოლომდე, და ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალი პრეზიდენტი გახდება იმ გუნდისა და კურსის ადამიანი, რომელსაც ახორციელებდა გატონი ედუარდ ჯაბას ძე კოკოითი.

მედვედევი კოკოითს დაემშვიდობა

ვინ ჩაუდგება სამხრეთ ოსეთს სათავეში 13 ნოემბრის შემდეგ (ამ თარიღისთვის არის დანიშნული პრეზიდენტის არჩევნები, რომელშიც კონსტიტუციის თანახმად, გატონი კოკოითი მონაწილეობას ვერ მიიღებს) აღელვებს არა მხოლოდ რესპუბლიკის მიმავალ ხელმძღვანელს, არამედ მოსკოვსაც, რომელიც აშკარად გაწბილებულია კოკოითის მმართველობით. სწორედ მომავალი არჩევნები და არა სამი წლისთავი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების დღიდან, ჩვენი მონაცემებით, განიხილეობდა 25 აგვისტოს გატონების მედვედევისა და კოკოითის შეხვედრაზე.

როგორც უკვე ვწერდით, კრემლში სერიოზულად განიხილავენ სამხრეთი ოსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ხელმძღვანელის ანატოლი გიგილოვის კანდიდატურას, რომელსაც კოკოითმა „ღირსეული კანდიდატი“ უწოდა. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ ცხინვალში ემზადებიან მოაწყონ არჩევნები არა მოსკოვის, არამედ საკუთარი სცენარის მიხედვით. საპრეზიდენტო ამბიციები გატონი გიგილოვის გარდა გამოაცხადეს გატონი კოკოითის შეურიგებელმა ოპონენტმა, რუსეთის ფედერაციის თავისუფალი სტილის ჭიდაობის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯამბულატ თედეევმა და სამხრეთ ოსეთის სახელისუფლო ვერტიკალში ჩართულმა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ სერგეი გიტიევმა.

სამხრეთი ოსეთის მთავრობაში მაღალი თანამდებობის წყაროს ეჭვი არ ეპარება, რომ შედეგად კანდიდატები აღმოჩნდებიან გაცილებით მეტი. „ჯერჯეროობით არ არის სიცხადე მოწონებულ კანდიდატ გიგილოვთან დაკავშირებით კრემლში, მაგრამ თუ იგი გამოჩნდება კიდეც, ეს არაფერს არ ნიშნავს“, — განაცხადა მან. თანამოსაუბრემ შეგვახსენა, რომ თავის დროზე აფხაზეთში პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა სერგეი გალაფშმა, რომლის წინააღმდეგიც იყო მოსკოვი და „არაფერი საშინელი ამის გამო არ მომხდარა“.

ედუარდ კოკოითი ასევე აღნიშნავს, რომ სამხრეთმა ოსეთმა თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ უნდა უხელმძღვანელოს მას.

— რუსეთის პრეზიდენტი ამბობს, რომ პრეზიდენტის არჩევნები — სამხრეთი ოსეთის ხალხის საქმეა, დიმიტრი მედვედევი კი ხალხის არჩევანს პატივს სცემს, — განაცხადა სამხრეთი ოსეთის მიმავალმა პრეზიდენტმა შეხვედრის შემდეგ.

მართალია, წინასაარჩევნო რგოლის სტარტამდე ჯერ კიდევ შორია, სამხრეთი ოსეთის ოპოზიცია უკვე აცხადებს იმის შესახებ, რომ ხელისუფლება თავიდან აქტიურად იცილებს ნებისმიერ დაბრკოლებას ჩაფიქრებული სცენარის რეალიზაციისთვის ხელისუფლების გადაცემასთან დაკავშირებით. უკვე რამდენიმე დღეა სამხრეთ ოსეთში არ ცხრება სკანდალი ოპოზიციონერი ალან კოჩიევის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, რომელიც დააკავეს სამართალდაცვის ორგანოებმა ადგილობრივი პარლამენტის დეპუტატის ცემის ეჭვით. გენერალური პროკურატურის ვერსიით, მან პოლიტიკური მოტივებით სცემა პარლამენტის დეპუტატ ალექსანდრ პლიევს. ოპოზიციის აზრით კი, კოჩიევის თავიდან მოშორებას ცდილობენ სწორედ ამ გზით. თუ ეს მოხდება, მაშინ არჩევნების დროს ერთმანეთს შეტოქეობას გაუწევენ ხელისუფლების კანდიდატები, ვინაიდან ჯამბულატ თედეევის ნეიტრალიზება შეიძლება მოახდინონ ერთ ადგილზე ცხოვრების ცენზის შეუსაბამობის გამო.

Коммерсант

გოგი ხუციშვილი: ვინც არ უნდა გახდეს აფხაზეთის ახალი ლიდერი, ის მოსკოვის პოზიციის ალიკვალი იქნება

„ე.წ. პრეზიდენტობის ორივე სავარაუდო კანდიდატი: ანქვაბიცა და სერგეი შამბაც ქვეყნის შიგნით ურთიერთობის აგების თვალსაზრისით უფრო კონსერვატორები არიან, ვიდრე ბაღაფში იყო. თუმცა, თავის დროზე, ბაღაფზეც არასწორი წარმოდგენა იყო შექმნილი, რომ ის უფრო ხისტი იქნებოდა მოსკოვთან ურთიერთობაში, ვიდრე არჩევნებში მისი მოწინააღმდეგე ხაჯინბა და სწორედ ამის გამო მისცა ბაღაფშს უპირატესობა აფხაზმა ხალხმა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აფხაზეთის უკვე გარდაცვლილი დე ფაქტო ლიდერი რუსეთთან ბევრ რამეში დამთმობი იყო და მეტიც, ამის გამო მას ხაჯინბაც კი აკრიტიკებდა. საბოლოოდ, ხაჯინბა უფრო კრიტიკული გამოდგა რუსეთის პოლიტიკის მიმართ. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ვინც არ უნდა გახდეს დე ფაქტო ლიდერი, ის მოსკოვის პოზიციის ალიკვალი იქნება, მათ შორის შამბაც და ანქვაბიც. ეს ორი ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დადგეს აფხაზი ხალხის მოწოდების სიმაღლეზე, თუკი, მაგალითისთვის, რუსეთი კვლავ მოახდენს ზეწოლას შეცვალოს ის კანონი, რომელიც აფხაზეთს საკუთარი მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გაყიდვას უკრძალავს“, — განუცხადა კონფლიქტოლოგმა **გოგი ხუციშვილმა** „ჯი-ეიჩ-ენს“.

ამასთან, მისივე აზრით, ახალ ლიდერად სერგეი შამბას ან ალექსანდრე ანქვაბის არჩევის შემთხვევაში სოხუმის საქართველოსთან დამოკიდებულება მხოლოდ გამკაცრდება.

„მგონია, რომ სერგეი ბაღაფშის გარდაცვალებითა და ახალი ლიდერის არჩევით ვითარება მხოლოდ აფხაზეთში შეიცვლება, თუმცა რა მიმართულებით, ეს იქნება დამოკიდებული იმაზე, ვინ გაიმარჯვებს ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში. ახალი ლიდერის არჩევა საქართველოსთან აფხაზეთის დამოკიდებულებაზე, სავარაუდოდ, არ იმოქმედებს, ყოველ შემთხვევაში დადებითი კუთხით. პირიქით, თუ ე.წ. პრეზიდენტი ანქვაბი ან შამბა გახდა, მგონია, რომ საქართველოსთან აფხაზეთის დამოკიდებულება გამკაცრდება. ამასთან, მეორეს მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს ოფიციალური თბილისის პოზიცია, რომელიც აფხაზეთს, როგორც მხარეს არ აღიარებს და მას მხოლოდ რუსეთის მარიონეტად მიიჩნევს“, — განმარტა კონფლიქტოლოგმა.

შეგახსენებთ, რომ სეპარატისტულ აფხაზეთში დღეს ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარეობს.

დედამიწის ზურგზე

აშშ-მა აიძულა გაეროს შეასრულოს თავისი ნება: ლიბიელი მეამბოხეები მიიღებენ კადაფის 1,5 მილიარდ დოლარს, მაგრამ პირობებით

გაეროს უშიშროების საბჭომ მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივა, განბლოკოს გაყინული ლიბიური აქტივები. გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც ამერიკელმა დიპლომატებმა შეძლეს მოეპოვებინათ მომხრეები ამ საკითხში თავისი კოლეგებისგან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ ასეთი გადაწყვეტილებისა. ხუთშაბათს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გახსნა ხელმისაწვდომობა ფულისადმი „ლიბიელი ხალხის დასახმარებლად“ და უმალვე დაუწესეს ლიბიის ახალ ხელისუფლებას ვალდებულებანი.

* * *

„ვიკილიკსის“ ახალი საიდუმლოების გადინება: ასი ათასი დოკუმენტი და აღიარება აშშ-ს ბრძოლის შესახებ რუსეთთან

ვაშინგტონს აშფოთებს, რომ ევროპაში არ არის რუსეთის ენერგოშემცველების ალტერნატივა. ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, ევროპა არასაკმარის რეაგირებას ახდენს იმ საფრთხეზე, რომ „ერთ ქვეყანას შეუძლია ადვილად გადაუკეტოს მას ონკანი“. ამ დროს პუტინს მხარი დაუჭირა ფინეთის პრეზიდენტმა, რომელმაც მასში „ნორდული მამაკაცი“ დაინახა.

* * *

უგო ჩავესმა მოიფიქრა, თუ რუსეთის დახმარებით როგორ აიცილოს თავიდან გადაყენებული მუამარ კადაფის ბედი

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში — სალვადორსა, პერუსა და ვენესუელაში ტურნეს დამთავრების შემდეგ განაცხადა იმის შესახებ, რომ რუსეთი მზად არის განავითაროს თავისი ურთიერთობანი რეგიონის ქვეყნებთან. თანამშრომლობის მთავარი პუნქტი უნდა გახდეს რუსეთ-ვენესუელის ბანკის განმტკიცება. ამ საფინანსო დაწესებულების პირველი პროდუქტი იქნება ვენესუელისთვის დიდი კრედიტის მიცემა.

* * *

მეძსიკაში კაზინოს დაუშინეს „მოლოტოვის კოქტეილი“ და დახვრიტეს გაძცეულები: დაიღუპა 50-ზე მეტი კაცი

გაჩაღებულმა ხანძარმა უმალვე მოიცვა შენობა და ნაწილობრივ გადავიდა გვერდით მდგომ შენობაზე. ათობით დაზარალებული მძიმე მდგომარეობაშია, ისინი გადაიყვანეს ადგილობრივ საავადმყოფოებში, სადაც უწევენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. პოლიციაში ამტკიცებენ, რომ მსხვერპლის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს.

◎ თემის გაგრძელება

„დაპირებული“ გლობალური დათბობის სანაცვლოდ, კატაკლიზმებს გამყინვარების ორ-სამათასიანი ციკლი ელის, ამტკიცებს რუსი მეცნიერი ვლადიმერ პოლევანოვი და, როგორც ამის შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამცნეთ, დასავლეთის ელიტა გამალებით ემზადება მის დასახვედრად. წინა წერილში ლაპარაკი იყო მომავალი გამყინვარების ოკეანოლოგიურ, ანტროპოგენურ და კოსმიურ მიზეზებზე. ახლა დოქტორი პოლევანოვი მსჯელობს იმ თემებზე, რომლებიც ნათელს ხდიან მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე მოვლენების დაფარულ არსს და, მისი აზრით, დედამიწაზე უდიდესი უდაბნოს საჰარას ახლო გეოლოგიურ მომავალში... აყვავებულ მხარედ გადაქცევას უკავშირდება.

– არაბეთის რევოლუციების მოულოდნელი ტალღა ამერიკის შეერთებული შტატების მიერაა ინსპირირებული რეგიონის ქვეყანებში მარიონეტული რეჟიმების დასამყარებლად და... საჰარის საპრივატიზაციოდ, – აცხადებს დოქტორი პოლევანოვი. – ამის მიზეზი ისაა, რომ ახლო გეოლოგიურ მომავალში იგი, ისევე, როგორც ათასწლეულებით ადრე, ოაზისად გადაიქცევა, რის შედეგად ჩრდილოეთ აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი დედამიწის გეღელი გახდება.

„ვაშინგტონის საოლქო კომიტეტი“ მოქმედებს

– კრემლში რომ ვმუშაობდი, იმ დროს იქაურ კულუარებში პოპულარული იყო გამოთქმა „ვაშინგტონის საოლქო კომიტეტი“, – განაგრძობს ვლადიმერ პოლევანოვი. – ჩუბაისისგან „გოსკომიმუშჩესტვო“ რომ გადავიბარე, ლამის ჭკუაზე გადავდექი იმის გამო, რომ რუსეთის ქონებას გროშებად უცხოელები ეპატრონებოდნენ. თანაც ეს საყოველთაო მოვლენა იყო, „შაურებად“ იყიდებოდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ის საწარმოებიც კი, რომლებიც სრულიად საიდუმლო პროდუქციას უშვებდნენ! მაგალითად, ამერიკელმა ჰეიმ მოსკოვის ელექტრონული ქარხნისა და მასთან კოოპერირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აქციების 30 პროცენტი იყიდა, – ეს იყო „სტელსის“ ტიპის უხილავი თვითმფრინავების საფარის დამმუშავებელი ქვეყანაში ერთადერთი საწარმო! ამერიკელმა კი აქციათა პაკეტის შეძენისთანავე დაბლოკა რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების დაკვეთა.

პირველი რაც გავაკეთე, 35 რუსეთელ და უცხოელ მრჩეველს, ვინც დასავლეთისთვის მუშაობდა, საშვები ჩამოვართვი, შევაჩერე ალუმინის ქარხნების აქციებით ვაჭრობა – ალუმინი ხომ სტრატეგიული ლითონია! ამით მშობლიურ მთავრობაში და, რაც მთავარია, ოკეანის გაღმა უდიდესი უკმაყოფილება გამოვიწვიე. იქნებ არც დამივჯეროთ, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რუსეთისთვის ტრანშის გამოყოფის მთავარი პირობა... ჩემი გადადგომა იყო. „ვაშინგტონის საოლქო კომიტეტმა“ პირობა შეასრულა: „გოსკომიმუშჩესტოვოში“ სულ ორი თვის მუშაობის შემდეგ თავიდან მომიშორეს, რუსეთშიც კი 6 მილიარდი დოლარის ტრანში მოვიდა...

ამჟამად კონსორციუმ „ზოლოტოი მოსტს“ ვხელმძღვანელობ, ჩვენი საქმიანობაა ოქროს ძებნა-ძიება და მოპოვება, ინტერესთა სფერო – რუსეთი, აფრიკა, ავსტრალია, სამხრეთ ამერიკა. ასე რომ სამსახურებრივი მოვალეობით თვალყურს ვადევნებ რესურსებისთვის ზესახელმწიფოთა შორის ბრძოლას. უნდა გითხრათ, რომ **დღევანდელ მსოფლიოში გამეფებული წარმოუდგენელი ქაოსის, უცნაური რევოლუციებისა და ომების, სტროს-კანთან დაკავშირებულ და მსგავს სექს-სკანდალებს მიღმაც კი ორი მარტივი რამ დგას: პირველია ყველა ძალის გამოყენებით ამერიკული დოლარის ვარდნის შეჩერება, მეორე – ატლანტიკის ორივე მხარეს კლიმატის კატასტროფული გაუარესება. სწორედ ეს ორი ფაქტორი განსაზღვრავს სადღეისოდ დედამიწაზე მთელ დიდ პოლიტიკას.**

ამ ამბავს ბევრმა იქნებ ეჭვის თვალით შეხედოს, მაგრამ მოსკოვსა და კიევს შორის ცოტა ხნის წინანდელ „გაზის ომს“ თუ გავიხსენებთ, დამეთანხმებით, რომ „გაზპრომის“ ინფორმაციები ფრონტის ხაზიდან გადმოცემული ცნობებისგან ბევრი არაფრით განსხვავდებოდა. სწორედ ამ გარემოებათა გამო გადაწყდა უკრაინის გვერდის ავლით ევროპაში ალტერნატიულ გაზსადენთა გაყვანა. ევროკავშირთან ყველაფერი ოპერატიულად იქნა შეთანხმებული. და აი, უკვე შენდება „ჩრდილოეთის ნაკადის“ ორი ხაზი. შემოდგომაზე ციმბირული გაზი გალტიის ზღვის ფსკერის გავლით გერმანიას მიაღწევს. სულ ახლახან კი ლაპარაკი მესამე ხაზის გაყვანის თაობაზეც დაიწყო! გარდა ამისა, **„რიგში არიან“ „სამხრეთის ნაკადი“, „ცისფერი ნაკადი-2“, „ნაბუკო“. თუმცა ისიც კია, რომ „ნაბუკოს“ ენერგოშემცვლელით შევსების სერიოზული პრობლემა არსებობს. ამ გაზსადენის პროექტთან დაკავშირებით მთელ იმედებს ირანზე ამყარებენ, რომელსაც გაზის უზარმაზარი მარაგი აქვს, მაგრამ მას კატეგორიულად არ სურს ევროპისთვის მისი იაფად მიყიდვა...**

სხვათა შორის, რეგიონში ტვიტერული ომის პირველი მცდელობა რამდენიმე წლის წინათ სწორედ ირანში იყო, მაგრამ ჩავარდა. ბოლო წლებში კი ირანზე შეტევები გამუდმებით მიდის, რის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია გაზი. თავის მხრივ ირანი ჩინეთთან კავშირებს ამაგრებს, რომელიც, ამასთან, თურქეთთან, სირიასა და აზერბაიჯანთან ერთიანი ბლოკის შექმნას ცდილობს, აქტიურად აძლიერებს ჯარს. როგორც ჩანს, „ვაშინგტონის საოლქო კომიტეტს“ ესმის, რომ ირანს ასე იოლად ვერ მოერევა, ამიტომ **სულაც არ არის შემთხვევითი, რომ გაზაფხულზე იტალიაში ამერიკის ელჩმა „ნაბუკოსა“ და „სამხრეთის ნაკადის“ გაერთიანების, ანუ მისი რუსეთული გაზით შევსების წინადადება წამოაყენა.**



დარწმუნებული იყავით, ნებისმიერ შემთხვევაში 2015 წლისთვის ყველა „ალტერნატივა“ აგებული და საპროექტო სიმძლავრეზე იქნება გაყვანილი. საგულისხმო სხვა რამ არის: „ალტერნატიული“ გაზი თავისი მოცულობით თითქმის იმდენივეა, რამდენსაც რუსეთი დღეს დღეობით ევროპას უკრანისა და გელარუსის გავლით აწვდის. ერთი შეხედვით, რუსეთს შეუძლია შუამავალ-თანამოძმეთათვის გაზის ონკანის გადაკეტვა, მაგრამ... უკრაინა უკვე შეუდგა გაზსადენის თავისი მონაკვეთის ურენგოი-პომარი-უჟგოროდის მოდერნიზებას. სიმბოლური „ოქროს ნაკერის“ საზეიმო ცერემონიის საპატიოსტუმართა შორის საფრანგეთისა და გერმანიის ენერგეტიკოსები, რუსეთელი გაზპრომელები იყვნენ. მოდერნიზებას გელარუსებიც იწყებენ, და ყოველივე ამის შედეგად ძველი მილსადენების გამტარუნარიანობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, ევროპელებისთვის კი არც ესაა საკმარისი! ამიტომ ევროპისთვის თხევადი გაზის მწარმოებელი ქარხნების მშენებლობა გადაწყვიტეს იამალზე, ლენინგრადისა და მურმანსკის ოლქებში, შავი ზღვისპირეთში.

საჰარის „მზის სახლი“

ისმება კითხვა: რა ხდება, რა არის ევროპის ასეთი „მადის“ მიზეზი? გუნებრივი გაზი საჭირო ქიმიური მრეწველობისთვის, მაგრამ ევროპელები არა თუ ახალ დიდ ქარხნებს არ აშენებენ, არამედ ძველებიც ინტენსიურად გადააქვთ მესამე სამყაროს ქვეყნებში. წესით და რიგით გაზის მოხმარება ამ პიროგებში უნდა შემცირდეს, მაგრამ ის, პირიქით, იზრდება! საგულისხმო ფაქტია: **ზუსტად ერთი თვის წინათ „გაზპრომის“ თავკაცმა ალექსი მილერმა და გერმანიის ენერგეტიკული კონცერნის RWE-ს ხელმძღვანელმა იურგენ გროსმანმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომლის თანახმად ბუნებრივ გაზზე მომუშავე ელექტროსადგურებს ააშენებენ გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ბენილუქსის ქვეყნებში. ამაზე მეტი რაღა მტკიცებაა საჭირო, რომ ბუნებრივი გაზი ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად, გასათბობად სჭირდებათ და არა, ქიმიური წარმოებისთვის?!**

გარდა ამისა, ევროპელები გამუდმებით ზრდიან ალტერნატიული ენერგეტიკის სიმძლავრეებს: მარტო გერმანიაში 17 ათასზე მეტი ქარის გენერატორი მოქმედებს, დიდ ბრიტანეთი სასწრაფოდ აპირებს ოფშორული საქარე პარკების მშენებლობას, საფრანგეთი ელექტროენერგიის მილებას სულაც... ავტომგზატკეცილების გასწვრივ წარმოშობილი ჰაერის ნაკადების „შეგმით“ აპირებს, რა მიზნითაც პარიზი-ლიონის ტრასის გასწვრივ უკვე დაიწყეს საცდელი „ავტოელექტროსადგურის“ მონტაჟი.

აღსანიშნავია ისიც, რომ **2009 წელს ევროკავშირმა უდაბნო საჰარაში „მზის სახლის“ ასაშენებლად კონსორციუმი Desertec-ი შექმნა, რომლის ღირებულებაა 400 მილიარდი ევრო!** ამხელა ფულს ქარს არავინ გაატანს! არსებული გეგმით, **ელექტროენერგიას ევროპას ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის გავლით მიაწოდებენ – ეს კი სწორედ ის რეგიონებია, სადაც ამჟამად „დემოკრატიული რევოლუციები“ მძვინვარებს.** საგულისხმო დამთხვევაა! თანაც პირველი დენი საჰარიდან ევროპამ უკვე 2015 წელს უნდა მიიღოს. **განა არ არის საინტერესო, თუ რისთვისაა საჭირო ამდენი გაზი და ელექტროენერგია? ევროპას დემოგრაფიული აფეთქების საშიშროება ხომ არანაირად არ ემუქრება! პირიქით: შობადობა კონტინენტზე წლიდან წლამდე კლებულობს.**

> ◎ ინფორმაცია თემაში
>
> **გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ვლადიმერ პოლევანოვმა შრომითი ბიოგრაფია კოლიმის საბადოებზე დაიწყო. ელსინის პრეზიდენტობის დროს, 1990-იან წლებში, იყო ამურის ოლქის გუბერნატორი, რუსეთის ვიცე-პრემიერი, „გოსკომიმუშჩესტვოს“ თავკაცი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

თვალთახედვის არედან არც გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება იაპონიის ატომურ ელექტროსადგურ ფუკუსიმაზე მომხდარ ავარიამდე დიდი ხნით ადრე მიიღეს, ასე რომ „მზის ქალაქს“ ევროპაში ატომურ ელექტროსადგურთა სავარაუდო დახურვასთან საერთო არაფერი აქვს. კიდევ ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია ისაა, რომ მალე რუსეთში წყალში ჩაუშვებენ მსოფლიოში პირველ მცურავ ატომურ თბოელექტროსადგურს, რომელსაც კიდევ ექვსი მოყვება. როგორ გგონიათ, რა იქნება მათი პირველი რიგის ამოცანა?..

საიდუმლო „2015“

გაზო-ელექტრულ რგოლას, რომელიც 2015 წლისთვის უნდა დასრულდეს, ერთი ახსნა აქვს: **ამ დროისთვის ევროპაში მკვეთრად აცივდება და მცირე გამყინვარება დაიწყება!** ევროპელებს კი გაყინვა არ სურთ: მათ გენეტიკურ მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს შიში ადრინდელი გამყინვარების წინაშე – 1300 წელს გოლფსტრიმი ისევე შენელდა, როგორც ეს ახლა მოხდა. თითქმის საუკუნენახევარი ევროპაში ძალიან ცივდა. სხვათა შორის, ჩრდილოეთ აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე საშინელი ყინვები იყო, ხოლო ამერიკის ცენტრალური და დასავლეთის შტატები მტრის ქარბუქების რეგიონად გადაიქცნენ.

საოკეანო დინებათა გამათბობელი ან გამგრილებელი ეფექტების ცვალებადობა, გეოლოგიური თვალსაზრისით, „წამიერი“ ამბავია. სამეცნიერო კვლევებმა დაადასტურეს, რომ კლიმატის ასეთი მკვეთრი ცვლილებები უწინაც მრავალგზის ყოფილა.

გუნებრივია კითხვა: თუ მდგომარეობა ამდენად საგანგაშოა, მაშ, ხალხს რატომ არ აფრთხილებენ მომავალი კატაკლიზმის შესახებ? საქმე ის არის, რომ **გოლფსტრიმის დროებით გაჩერების მცირე გამყინვარების პერიოდის დადგომისა და მანდერის მინიმუმის (მზის აქტივობის შემცირებასთან) თანხვედრის შედეგად, მართალია ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა არ გაიყინებიან, მაგრამ 15-20 წლის მანძილზე საინვესტიციო პოლიტიკა ინერტული იქნება, ხოლო მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალიან დაეცემა.** ხელისუფალნიც იმიტომ არიან ჩუმად, რომ მოსახლეობაში პანიკა ნაადრევად არ წარმოშვან. ამასობაში თავად უკვე რამდენიმე წელია კატაკლიზმისთვის გამალებით ემზადებიან, თანც არც მაინცდამაინც ნილბავენ ამას, დაფარულია მხოლოდ მიმდინარე პროცესების არსი. რუსეთს, უკრაინასა და ევროკავშირს შორის „ენერგეტიკულ საქმის გარჩევებს“ კი გაზის მოხმარების ზრდის შირმად იყენებენ და აცხადებენ, რომ „ალტერნატიულ“ გაზსადენებს სწორედ ამის გამო აშენებენ. **ამიტომ გაზის ფასი 2015 წლისთვის საოცრად გაიზრდება.**

მომავალი მცირე გამყინვარების შესახებ მეცნიერები კი ლაპარაკობენ, მაგრამ მათი ხმა ოფიციალურ ცნობათა მძლავრ ნაკადში იკარგება, რომელიც სახელისუფლებო სტრუქტურებიდან მოედინება და... მომავალ გლობალურ დათბობას ეხება! თავად დაფიქრდით: **თუკი მართლაც კლიმატი ასეთი ცხელი გახდება, რაში სჭირდება ევროპას ამდენი გაზი უახლოეს მომავალში?**

რაც შეეხება რუსეთს, ქვეყნის შუა ნაწილში ისეთივე სითბო იქნება, როგორიც ამჟამად ყუბანსა და სტავროპოლშია, საგრძნობლად დათბება ციმბირში, ალტაიზე, ნოვოსიბირსკის, ტომსკისა და ომსკის ოლქებში, ბაიკალისპირეთში. მნიშვნელოვნად გაიზრდება ტაიგის ფართობი, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პროცესები უკვე დაწყებულია. მოკლედ, მალე რუსეთი მთელ მსოფლიოს დაუპირებს, ოღონდ იმ პირობით, თუ მთელ პურს ერთიანად რომელიმე „გოლდმან საქსი“ არ იყიდის.

არავის ეგონოს, ვითარებას შეგნებით ვამძიმებდე. არ დაგავიწყდეთ, „გოსკომიმუშჩესტვოს“ თავკაცი ვიყავი, ამიტომ რუსეთში პრივატიზების პროცესს ყურადღებით ვაკვირდები. ამჟამად მისი დამაგვირგვინებელი ეტაპი მიმდინარეობს – სამთავრობო გეგმაში 2011-2013 წლებში ათი მსხვილი კომპანიის, მათ შორის, „სოვკომფლოტის“, „რუსეთის რკინიგზის“, „სბერბანკის“ ნაწილისა და სხვათა პრივატიზებაა, თუმცა ეს მაინც იმ მნიშვნელობისა არ არის, როგორც „მარცვლეულის გაერთიანებული კომპანიის“ გასხვისება 2012 წლამდე.

წელან „გოლდმან საქსი“ ტყუილად არ მიხსენებია. აღნიშნულ უმსხვილეს რუსეთულ კომპანიებს გამყიდველები ვინ ჰყავს, არ გაინტერესებთ? ოთხი რუსეთელი და ექვსი უცხოელი, მათ შორის „დოიჩე ბანკი“, „ჯ. პ. მორგან ჩეზ ინტერნეშნელი“, „მერილ ლინჩ სექიურითიზ“, „ბენკ კრედი სვის“ და შეუზღუდავი პასუხისმგებლობის საზოგადოებების კომპანია „გოლდმან საქსი“.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ 2012 წლის 1 იანვრიდან რუსეთული მარცვლეულის განმკარგავი „გოლდმან საქსი“ იქნება...

დავით მერიშვილი

◎ ფეხბურთი

ჯერ ადრეა

როცა თბილისის „დინამო“ გეზი ესპანელი ლეგიონერებით გაძლიერებაზე აიღო, მაშინვე გამოითქვა ვარაუდი, რომ ალნიშნული კონტინგენტის კვალიფიცირება მხოლოდ შინაური ტიტულების დასაბრუნებლად იქნებოდა საკმარისი, ხოლო საერთაშორისო სარბიელზე წარმატების მისაღწევად, დროსთან ერთად, გევრი ოფლისღვრა და, რაც მთავარია, უფრო მაღალი დონის მოთამეშეების შეძენა გახდებოდა საჭირო.

ასეთი პროგნოზის საფუძვლიანობა ნაწილობრივ უკვე დადასტურდა – დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ქართული საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანი ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდის მიღმა დარჩა, რაც გამოუცდელობასთან და სუსტ ფუნქციონალურ მომზადებასთან ერთად, უნდა ვაღიაროთ, მეტოქის – ათენის აეკის უფრო მაღალმა კლასმა განაპირობა.

ეს რომ ასეა, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 50 000 გულშემატკივრის თანხლებით გამართულმა საპასუხო კლეი-ოფმა დაამტკიცა, სადაც მასპინძლები მხოლოდ პირველ ტაიმში გამოიყურებოდნენ ღირსეულად – 1:0 (კოშკაძეძ. იძმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამის შემდეგ ალექს გარსიას გუნდი მხოლოდ საძმის პენალტებამდე მიყვანას ცდილობდა, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თავს ზემოთ ძალა არ იყო – მაშინ, რო- – 1:1 და ელადელები ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა.

ტრადიციისამებრ, სტუმრები არც პროვოკაციებს თაკილობდნენ, რამდენჯერმე მეტოქეებმა ერთმანეთზე გაიწიეს კიდეც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ უფრო ძლიერმა გაიმარჯვა ისევე, როგორც „ბრიუგესა“ და „ზესტაფონის“ დუელში – 2:0 (3:3ძ.

დანარჩენი შედეგები: „სპარტაკი“ – **„ლეგია“** 2:3 (2:2ძ, **„რენი“** – „ცრვენა ზვეზდა“ 4:0 (2:1ძ, „დინამო“ (ბუქარესტი ძ – **„ვორსკლა“** 2:3 (1:2ძ, **„ეინდჰოვენი“** – „რიდი“ 5:0 (0:0ძ, **„ლარნაკა“** – „რუსენბორგი“ 2:1 (0:0ძ, „ალანია“ – **„ბეშიძთაში“** 2:0 (0:3ძ, **„დინამო“** (კიევიძ – „ლიტექსი“ 1:0 (2:1ძ, „ბაზ მეთანი“ – **„აუსტრია“** 1:0 (1:3ძ, „ტრნავა“ – **„ლოკომოტივი“** 1:1 (0:2ძ, **„ჰაპოელი“** – „ეკრანასი“ 4:0 (0:1ძ, ცსკა (სოფიაძ – **„სტიაუა“** 1:1 (0:2ძ, „იანგ ბოიზი“ – **„ბრაგა“** 2:2 (0:0ძ, **„რაპიდი“** (ბუქარესტიძ – „შლიონსკი“ 1:1 (3:1ძ, „სპარტა“ – **„ვასლუი“** 1:0 (0:2ძ, „ჰელსინგბორგი“ – **„სტანდარდი“** 1:3 (0:1ძ, „პანათინაიკოსი“ – **„მაკაბი“** 2:1 (0:3ძ, **„შალკე“** – „ჰიკი“ 6:1 (0:2ძ, **„ანდერლეხტი“** – „ბურსასფორი“ 2:2 (2:1ძ, „დნიპრო“ – **„ფულჰემი“** 1:0 (0:3ძ, „გიმარაეში“ – **„ატლეტიკო“** 0:4 (0:2ძ, „პარტიზანი“ – **„შემროკი“** 1:2 (დ.დ. 1:1ძ, „რეინჯერსი“ – **„მარიბორი“** 1:1 (1:2ძ, **„სიონი“** – „სელტიკი“ 3:1 (0:0ძ, „რომა“ – **„სლოვანი“** 1:1 (0:1ძ, **„ალკმაარი“** – „ალესუნდი“ 6:0 (1:2ძ, **„ბირმინგემი“** – „ნასიონალი“ 3:0 (0:0ძ, „რაბოტნიჩკი“ – **„ლაციო“** 1:3 (0:6ძ, „სოშო“ – **„მეტალისტი“** 0:4 (0:0ძ, **„სტოკი“** – „თუნი“ 4:1 (1:0ძ, „კარპატი“ – **პაოკი** 1:1 (0:2ძ, **„პარი სენ-ჟერმენი“** – „დიფერდანჟი“ 2:0 (4:0ძ, **„ტოტენჰემი“** – „ჰართსი“ 0:0 (5:0ძ, **„ზალცბურგი“** – „ომონია“ 1:0 (1:2ძ, „სევილია“ – **„ჰანოვერი“** 1:1 (1:2ძ, **„სპორტინგი“** – „ნორდსიელანდი“ 2:1 (0:0ძ.

* * *

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის კენჭისყრა, რომელმაც ევროპული საკლუბო ელიტა ასე გაანაწილა:

„ა“ ჯგუფი. „ბაიერნი“, „ვილიარეალი“, „სიტი“, „ნაპოლი“.

„ბ“ ჯგუფი. „ინტერი“, ცსკა, „ლილი“, „ტრაბზონსფორი“.

„გ“ ჯგუფი. „მანჩესტერი“, „ბენფიკა“, „ბაზელი“, „ოცელული“.

„დ“ ჯგუფი. „რეალი“, „ლიონი“, „აიაქსი“, „დინამო“ (ზაგრებიძ.

„ე“ ჯგუფი. „ჩელსი“, „ვალენსია“, „ლევერკუზენი“, „გენკი“.

„ვ“ ჯგუფი. „არსენალი“, „მარსელი“, „ოლიმპიაკოსი“, „ბორუსია“.

„ზ“ ჯგუფი. „პორტუ“, „შახტარი“, „ზენიტი“, „აპოელი“.

„თ“ ჯგუფი. „გარსელონა“, „მილანი“, ბატე, „ალზენი“.

I ტურის მატჩები 13-14 სექტემბერს მოეწყობა.

◎ კალათბურთი

ნახევარი ძალით

დღეს საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ვილნიუსში ევროპის ჩემპიონატის წინ უკანასკნელ ამხანაგურ შეხვედრას ტურნირის მასპინძელ ლიტვის გუნდთან გამართავს. ამ მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი 20 საათიდან შემოგთავაზებთ.

უკვე გაუწყეთ, რომ მანამდე იგორ კოკოშკინის შეგირდებმა პირველი საწვრთნელი მატჩი რიგაში ლატვიელებს 83:79 მოუგეს.

ამ მეტოქეთა საპასუხო ბრძოლაში სერგმა სპეციალისტმა დამრტყმელი ხუთეული მხოლოდ პირველ პერიოდში ათამაშა, რომელშიც „ჯვაროსნები“ სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ – 24:16. აქედან მოყოლებული, სარბიელზე ძირითადად სტუმართა დანარჩენი წევრები ირჯებოდნენ და, გუნებრივია, გალტინისპირელებს არ გასჭირვებიათ რევანშის აღება.

ჩვენებურთა მონაგარი: ფაჩულია – 18, სანიკიძე – 9, ცქიტიშვილი, შენგელია, ჰეინსი – 8-8, მარკოიშვილი – 7, ვლადიმერ გოისა – 5, ცინცაძე – 4, შერმადინი – 3, ფარღალავა – 2, შარაბიძე – 1 ქულა.

◎ ჭიდაობა

ჭაბუკთა მედლები

უნგრეთის ძალაძ სომგათჰეიში მიმდინარე მსოფლიოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა სამი მედალი მოიპოვა.

მთავარმწვრთნელ თამაზ გენდინიშვილის გუნდის წევრთაგან „ვერცხლი“ 100 კგ წონით კატეგორიაში გენო პეტრიაშვილმა აიღო, ბრინჯაოს მედლებს კი შოთა ფარტენაძე (54 კგ და გიორგი ჩხარტიშვილი (76 კგ დაეუფლნენ.



მძიმეწონოსან გენო პეტრიაშვილს, რომელიც წლეულს ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო ახალგაზრდებში ბრინჯაოს პრიზიორი, ამჯერად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე გადამწყვეტი გამარჯვება დააკლდა.

ფინალის გზაზე პეტრიაშვილმა სამი მეტოქე ჩამოიცილა: უნგრელი მარსელ კიში, თურქი იბრაჰიმ კასიოლი და რუსი ინალ ტასოევი, ოქროს „დუბლის“ შესრულების შანსი კი ამერიკელ ადამ კუნთან წაგებით დაკარგა.

შოთა ფარტენაძემ ბრინჯაოს მედლისათვის შეხვედრაში რუს რასულ შაპიევს აჯობა, გიორგი ჩხარტიშვილმა კი მონღოლ გაათარ ნიამბაიარს სძლია.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრთაგან გიორგი პასიკაშვილი (42 კგძ, რამაზ დარჩიძე (46 კგძ, შალვა ხუციშვილი (50 კგძ, რაუფ შაკულოღლი (58 კგძ, ომარ გურჯიძე (63 კგძ, შალვა ჭადაშვილი (69 კგძ და ბექა როჭიკაშვილი (85 კგძ საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ. მათგან შაკულოღლიმ და როჭიკაშვილმა ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლეს, თუმცა დამარცხდნენ და მე-5 ადგილებს დასჯერდნენ.

გუშინ ბრძოლაში „კლასიკოსები“ ჩაებნენ.

◎ ინტერნეტიდან

მესის ეპოქა გრძელდება

წლეულს უეფამ დააწესა ახალი პრიზი – ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის, რომელიც 53-მა სპორტულმა ჟურნალისტმა გამოავლინა როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო ტურნირებში გამოსვლების გათვალისწინებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა „ბარსელონას“ არგენტინელმა ლიდერმა ლეო მესიმ – 38 ხმა. პრესტიჟული ჯილდოს პირველმა მფლობელმა განვლილ სეზონში 53 გოლი გაიტანა, მათ შორის 12 – ჩემპიონთა ლიგაში და ზედიზედ მესამედ გახდა გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი.

წამყვან ათეულში დანარჩენი ადგილები დაიკავეს ხავიმ („ბარსელონა“ძ, რონალდუმ („რეალი“ძ, ინიესტამ („ბარსელონა“ძ, პიკემ („ბარსელონა“ძ, ფალკაომ („პორტუ“ძ, რუნიმ („მანჩესტერი“ძ, ვიდიჩმა („მანჩესტერი“ძ, იბრაჰიმოვიჩმა („მილანი“ძ და ნოიერმა („შალკე“ძ.

შეგახსენებთ, რომ ფალკაო უკვე „ატლეტიკოში“ თამაშობს, ხოლო ნოიერი – „ბაიერნში“.

სულით ძლიერი

დღეს კორეის ქალაქ ტეგუში იწყება მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლის მონაწილეთა შორის 24 წლის სამხრეთაფრიკელი ინვალიდი, პარაოლიმპიადების ოთხგზის ჩემპიონი ოსკარ პეტორიუსიც იქნება. იგი 4X400 მეტრზე ესტაფეტაში იასპარეზებს.

სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, სპეციალური პროტეზებით მორგენალ ათლეტს, სხვათა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მხოლოდ პირველ ეტაპზე მოუწევს გამოსვლა.

შეგახსენებთ, რომ ოსკარი წვივის ძვლების გარეშე დაიბადა და 11 თვისას ორივე ფეხი მოკვეთეს მუხლსძვემოთ.

სხვას აღარ ეკითხება?

შერეული ორთაბრძოლების დიდოსტატის ალექს რიდის ყოფილმა ცოლმა კეტი პრაისმა მკერდის „დაჩუტვა“ გადაწყვიტა და ახალ გიუსტს თაყვანისმცემელთა სამსჯავროზე მომავალ კვირაში გამოამზეურებს, როცა განთქმულ კურორტ მარგელადან ამჟამინდელ გოიფრენდს, არგენტინელ მოდელს ლეანდრო პენას დაუბრუნდება.

მართალია, 33 წლის ლამაზმანი მასზე გათხოვებას არ აპირებს, მაგრამ თანახმაა შვილები მაინც გაუჩინოს, ოღონდ იმასაც ამბობს, რომ საამისოდ ჯერ არ სცალია.

უწინ ბრიტანელი სექსბომბა პრემიერლიგის არაერთ ვარსკვლავთან იყოფდა სარეცელს.

ვაი, თქვენს პატრონს!..

ჰო, რა გიკვირთ, ნამდვილად ასეა, ვარდებით ხელდამშვენებულმა ნაცებმა დამოუკიდებლობას დანატრებულ ქვეყანაში კეთილდღეობის ისეთი შადრევნები აგვიჩქეფეს, რომ ვზივარ განცხრომას მიფიცხებული გერიკაცი რგილ სავარძელში და თავს დავნატრი. თუ ვინმეს ეს ანგლობა და შაყირი ჰგონია, იმათ გასაგონად მინდა აპრიორი (ჩვენი პოლიტიკოსების საყვარელი სიტყვაა) განვაცხადო, რომ ის, რასაც ამ წერილში გაგანდობთ, სრული ჭეშმარიტებაა და მას ხუმრობის ნატამალიც არ დაჰკრავს.

თუმცა, აჯობებს პირდაპირ სათქმელზე გადავიდე. დავიწყებ თუნდაც ქვეყნის წამყვანი სატელევიზიო არხების შეუფერადებელი გადაცემებით, რომლებიც ჩემი ცხოვრების ყოველდღიურ საზრდოდ იქცნენ და იმდენად მაძღრისად დამანაყრეს, რომ კვების პროდუქტების შესაძენად პენსიას ალარც ვხარჯავ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ისე მივეჩვიე ტელეეთერში ჩვენი ახოვანი და ჩაუქი პრეზიდენტის მეგავარსკვლავურ პოზირებას, რომ თუ დღე გავიდა და ეკრანზე მიშა არ გამოჩნდა, ის დღე დაკარგულად მიმაჩნია. წარმოიდგენია, ამ ფონზე რა უგედურები არიან ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების მოქალაქენი, რომლებიც თურმე ისე იგადებიან და კვდებიან, რომ საკუთარ პრეზიდენტს არც კი იცნობენ.

ნამდვილად არა მეშურს მათი. რად გინდა ისეთი განვითარება და ცხოვრება-ქონება, შეკაცო, თუ მეშობლიური ქვეყნის პრეზიდენტის დანახვა გენატრება?

მადლობა ღმერთს, ჩვენთან სულ სხვა სიტუაციაა – პრეზიდენტი ყოველღღიურად (ხან დღეში ორ-სამჯერაც) ხალხთან ურთიერთობა-სიყვარულით ტკბება, ხალხი კი – პრეზიდენტთან შეხვედრა-ფოლორცით. არიან ისეთებიც, რომლებიც მიშას ტელევიზორში ხილვით არ კმაყოფილდებიან და საქვეყნო საქმეთა საკეთებლად ზღვად და მინდორ-ველად გაჭრილ პრეზიდენტს (გათუმში, ბახმაროში, საირმეში, სვანეთში, ბოგოყვათში, ანაკლიაში, ბონიოში და სხვაგანძთან დაყვებიან, ქადაგად დავარდნილ ლიდერს ტაშით ამხნევებენ, ხელს მაგრად ართმევენ და თუ გედმა გაულიმათ, ზოგჯერ კოცნიან კიდეც. პრეზიდენტს ასეთ დროს მოჭარბებული ემოციებისა თუ პატივმოყვარეობისა გამო, როგორც წესი, გული უჩუყდება, შევარდნაძის პერიოდში ნაშიმშილევ მოხუცებსა და უწლოვან გავშვებს ლოყებზე ხელს უთათუნებს და ღაწვებზე დაგორებულ ცრემლს მალულად იმშრალებს.

რაც უნდა საოცრად მოგეჩვენოთ, არიან ადამიანები, რომლებიც ვერ აცნობიერებენ პრეზიდენტისა და ხალხის უმწიკვლო ურთიერთსიყვარულის მნიშვნელობას და ამაზე ირონიულად ეღიმებათ. ზოგის უტიფრობა იქამდე მიდის, რომ კადნიერდება და შეკითხვასაც კი სვამს (მაგალითად, კინომცოდნე გოგი გვახარიაძ – რატომ ხსნის პრეზიდენტი სააკაშვილი სასტუმროებს? მით უფრო იმ სასტუმროებს, აკონკრეტებენ სხვანი, რომლითაც უსახსროების გამო საქართველოს მოქალაქენი ვერ სარგებლობენ? კიდევ კარგი პრეზიდენტი არ იგნევა (სხვები მის ადგილზე დაიგნეოდნენ) და არამკითხე ინტრიგანებს სრულიად დაუფიქრებლად, ორი სიტყვით იგერიებს – „ვაი თქვენს პატრონს!“

არადა, ეს ამბავი, ჩემი აზრით, ნამდვილად დამაფიქრებელია. ბოლოს და ბოლოს ოპონენტებმა ხომ უნდა იფიქრონ პრეზიდენტი სააკაშვილი რატომ იძლევა მათ კითხვებზე დაუფიქრებელ პასუხებს? იმიტომ ხომ არა, რომ პრეზიდენტს „სატოპკე“ ბურთს სწორედ იმ მომენტში აუგდებენ ხოლმე, როცა მიშას მისი ჩაგდება ხელეწიფება? აი ნახეთ, ოპოზიციურმა ძალებმა, რადიკალურმაც და ლიბერალურმაც, რამდენჯერ სცადეს სააკაშვილის ხელისუფლების გადაყირავება, მაგრამ ყოველთვის კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ამას თავად ოპოზიცია განიცდის ავადმყოფურად, თორემ მე თუ მკითხავთ, ამაშიც არის რალაც დოზით გედნიერების მომენტი, რასაც ოპონენტები რატომღაც ვერ აცნობიერებენ.

მაინც რა მომენტზეა ლაპარაკი? თუნდაც იმაზე, რომ სააკაშვილი ლომგული სარდალი და მტრისგან უძლეველი საჭეთმპყრობელია. ეს, ჯერ ერთი, მოწინააღმდეგეში გადეგს „მიშა მაგარის“ ძლევის გაუნელებელ სურვილს, რაც თავისთავად გედნიერების ტოლფასია, და მეორეც, ღმერთი რომ გამწყრალიყო და ოპოზიციურ პარტიებს ნაცების მთავრობა პირველსავე შეტევაზე ჩამოეგდოთ, მათ ხელისუფლება ახლა უკვე მომწვანილებული ექნებოდათ და თავად გახდებოდნენ ჩამოსაგდები!

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ გედნიერება თავად უძლეველის, ამ შემთხვევაში „მიშა მაგარის“ ძლევის დაუმცხრალ სურვილშია და არა ხელისუფლებით ტკბობის მოსურვილებაში...

აი, ხომ ხედავთ, მიხეილ სააკაშვილმა (იგივე „მიშა მაგარმა“) ძარა მარტო საკუთარი თავი, ოპოზიციაც კი იხსნა სამარცხვინო მარცხისგან, ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ასეთი ურთიერთგაგებისა და ურთიერთშეხმატკბილების პიროგებში, ხალხიც გედნიერია, მთავრობაც და ოპოზიციაც. ასე განსაჯეთ, რაღაც დოზით გედნიერია ჩვენი დაუძინებელი მტერი, ოკუპანტი პუტინიც, რომელმაც გამარჯვებულ ომში დამარცხების სანაცვლოდ საკუთარ ქვეყანაში საექსპორტოდ საქართველოში აპროგირებული მიშასეული რეფორმები დაითრია(!ძ.

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა დახარბებოდა პუტინი ჩვენებურ რეფორმებს, რამაც პატარა, ჩამორჩენილი საქართველო მსოფლიოს გიგანტ ქვეყნებს გაუტოლა? აბა ნახეთ, ამერიკა რომ ამერიკაა, იმის მთავრობასაც სტანჯავს ეკონომიკური კრიზისი და უმუშევრობა, ჩვენთან კი ეს პრობლემები კაი 5 წელია, ისტორიულ კუთვნილებად იქცა. ერთადერთი საზრუნავი, რაც სააკაშვილის მთავრობას დარჩა, გედნიერი ხალხის კულტურული გართობა-დასვენებაა და ესეც, შეიძლება ითქვას, მას თავსაყრელად აქვს.

ალბათ გადაჭარბებულად არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, რომ მსოფლიოს ყველაზე უფრო მოდურ საკურორტო ქალაქებსაც კი შეშურდებათ გედი გათუმისა, სადაც ზაფხულის ამ ცხელ დღეებში ევროპისა და ამერიკის საყოველთაოდ აღიარებული ხელოვნების ნამდვილი ვარსკვლავთცვენაა. ცხოვრების სიამტკბილოებით გალაღებული ხალხის დღესასწაულის აპოთეოზად იქცა მეგავარსკვლავ ენრიკეს (მას გვარის დაუსახელებლადაც იცნობენ) კონცერტი გათუმში, სადაც მაყურებელი (ქალი თუ კაცი, ახალგაზრდა თუ მოხუცი) იმდენად იყო გედნიერებისგან ატრუებულ-აცუნდრუკებული, რომ ველარ გაიგებდით, მიშას სიყვარულით ეხუტებოდნენ ენრიკეს თუ მიშას – ენრიკეს სიყვარულით. მაგრამ, როგორც შევნიშნე, ხალხი ყველაზე გედნიერი მაშინ არის, როცა თხილამურებზე შემდგარი მათი რჩეული სააკაშვილი იგავმიუწვდომელი სისწრაფით ეშვება უშგის პიტალო კლდეებიდან ზღვის სანაპიროზე. ასეთივე სისწრაფით ყვინთავს ზღვაში და შემდეგ, თუ არ დაეზარა, აუზში მოდგაფუნე დელფინების ხახაში თავის შეყოფითაც ანებივრებს სეირის მოყვარულ მაყურებლებს.

ამის შემდეგ მოდი და გაგიდე კითხვა – ვინ უფრო გედნიერია იმ ქვეყანაში, რომელსაც მიშა და მისი უერთგულესი სამთავრობო გუნდი მართავენ, თავად მიშა და მთავრობა თუ მათგან მართული ქვეყნის მოსახლეობა? როგორც წერილის დასაწყისშივე ვთქვი, სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე პირადად ისეთი უზრუნველი და კმაყოფილი ვარ, გედნიერებისგან თავს დავნატრი...

მიშა: ვაი, თქვენ პატრონს!..

ოთარ ხუციშვილი

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2011 წლის 25 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“. აღნიშნულ ინფორმაციაში გაიპარა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია: „ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებისაქ“ ნაცვლად უნდა გამოცხადებულიყო **„ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით“.**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი, ჩვენი გაზეთის ძველი ავტორი და მეგობარი

გიორგი ხორგუაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 28 VIII, ქ. კასპში.

საქართველოს მწერალთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საუკეთესო პიროვნება

გიორგი ხორგუაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს გულიკო მაღრაძეს მეუღლის

თამაზ მენთეშაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით თანაუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს თამარ შაიშმელაშვილს დეიდის

ესმა ჩუთლაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის მეუღლე

ნატაშა ჩხიკვაძე

და სამძიმარს უცხადებს ბატონ რამაზს და მის ოჯახს.

ჭუმბერიძეთა საგვარეულო კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ერთგული მეუღლე, დედა და ბებია, ქალბატონი

ნარგიზი გაბრიაძე-ჭუმბურიძე

და თანადგომას უცხადებს მეუღლეს ლომარის, შვილებს – ნინოსა და დათოს.

მეუღლე კოკა ტყეშელაშვილი, მამა არჩილ ორაგველიძე, დედა მარინა ნიკოლაიშვილი, ძმა დიმიტრი, რძალი ელენე ახვლედიანი, შვილები სალომე, ნიკუშა, შვილიშვილი ქეთევანი, ძმისწულები აჩიკო, ანა, სიძე დავით გელაშვილი, მამიდაშვილები სანდრო, ირაკლი ბაძრაძეები, ლიანა, ქეთო ახვლედიანები, მანანა ნებიერიძე, რუსუდან გოგიტიძე, ბიძაშვილები არჩილ, მარიკა ნიკოლაიშვილები, ბიცოლა ასმათ მეძვაბიშვილი, მძახლები გელა, მარიკა გელაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

მაია ორაგველიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 VIII, 17 სთ. მისამართი: თამარაშვილის 11, მე-3 სადარბაზო. გამოსვენება 30 VIII, 15 სთ. ქაშუეთის ეკლესიიდან.

გიორგი სალუქვაძის ოჯახი მწუხარებას გამოხატავს

ჩიტო ხუნდაძე-მერაბიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის მეუღლეს, ოჯახის წევრებს და ნათესავებს.

განცხადება

გაცნობებთ რომ, საგარეჯოს რაიონში, სოფ. პატარძეულში უსტიაშვილების უბანში მდებარე შპს „ვათო“ აგურის ძარხნის ამუშავებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია საგარეჯოს რ-ნი სოფ. პატარძეულში შპს „ვათოს“ ოფისში. მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში. ამა წლის 17 ოქტომბერს დღის 12 სთ-ზე პატარძეულში შპს „ვათოს“ ოფისში შედგება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დირექცია

◎ ინფორმაცია

მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული არასრულწლოვანი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული 16 წლის არასრულწლოვანი, რომელმაც 2011 წლის 22 აგვისტოს დანის გამოყენებით, გულ-მკერდის არეში ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა მეგობრის მამას გია ბოგდანოვს.

ამჟამად დაჭრილის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და იმყოფება ქ.თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში.

ჯი-ეიბ-ენი

◎ დღესასწაული

28 აგვისტოს მარიამობაა

მიძინება ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. სიონობა



28 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი საოციძულო ეკლესია მარიამობას დღესასწაულობს; ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრება ღვთის მადლით იყო გაბრწყინებული.

...მარიამ ღვთისმშობელი, მოციძულთა მსგავსად, სიტყვით და ლოცვით განამტკიცებდა ქრისტიანულ სამყაროს – ჩვენს დედაეკლესიას.

ცნობილია, რომ ქრისტიანები დედა ღვთისმშობელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ამიტომ მის ყოველ სიტყვა-საქმეს იმახსოვრებდნენ. მათ ქალწული მარიამის ხასიათისა და გარეგნობის აღწერაც კი შემოგვინახეს – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახე, რომელიც ქრისტეს მოწაფემ, ლუკა მოციძულმა და მახარებელმა დახატა, დღემდეა შემონახული. გადმოცემით, დედა ღვთისამ, როცა შეხედა თავის გამოსახულებას, თქვა: „მადლი და წყალობა ძისა ჩემისა ახლავს ამ ხატს“.

დედა ღვთისმშობლის სახელი შორს იყო გავარდნილი, გევრს შურდა მისი, მაგრამ ღმერთი იფარავდა მას... ქრისტეს ამაღლებიდან მეჩვიდმეტე წელს, 28 აგვისტოს მიიძინა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც იგი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა. ღვთისმშობლის მიძინებაზე სახარებაში არაფერია თქმული... ქალწულის მიძინება მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოციძულთა დროიდან იცის. პირველ საუკუნეშივე წერდა მის მიძინებაზე წმინდა დიონისე არეოპაგელი, ხოლო შემდგომ – სხვა მამებიც.

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმინდა სამების შემდეგ იდიდება მარიამ ღვთისმშობელი, რადგანაც იგი ქერუბიმებზე უპატიოსნესია და სერაფიმებზე აღმატებული. ჩვენი დედაეკლესიაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებს ყოვლადწმინდა ქალწულს.

უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი – ღვთისმშობლის მიძინება, შობა, ტაძრად მიყვანა – უშუალოდ ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

დღეს უდიდესი მადლით ტარდება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა სიონის, მეტეხის, გაენათის, აწყურის, ფოთის, ვლაძერნის და სხვა ტაძრებში...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „ზეციური ბჭე გახდა ღვთისმშობელი, ის არის ჩვენი სულების მხსნელი, საქართველოს გადაარჩენს ყოვლაწმინდა ქალწულის საფარველი, მისი კვართი და სარტყელი. მისი მადლით გაბრწყინდება ივერია“...

გიული ლიპარტია

◎ ცნობისმოყვარეთათვის

სად, რა, რიდის?

● ჩვეულებრივ ლითონის კალამს, რომელსაც სანთლით რომ ეძებოთ, ახლა ვერ იპოვით, ადრე დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მასზე გამოსახული იყო არა მარტო სიმბოლოები, არამედ დიდი წერილების, ცნობილი მსახიობებისა და პოლიტიკოსების პორტრეტები, მათ საპირისპირო მხარეს დახრილს სპეციალურად ცაციებისთვის ამზადებდნენ.

● 1125 წელს ფრანგი ეპისკოპოსი ბიუნი ქალაქ მანსის მღვდელმსახურებს ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა, რადგან წმინდა მამები, მიუხედავად ჭადრაკის თამაშის მკაცრი აკრძალვისა, საიდუმლოდ იკრიბებოდნენ სასაფლაოზე და საჭადრაკო ბატალიებს მართავდნენ.

● იმ სკოლებში, რომლებიც ერთ დროს მთელ იტალიაში იყო, მკაცრი რეჟიმი სუფევდა. ციხის რეჟიმისგან იმით განსხვავდებოდა, რომ იქ განსაკუთრებით ზრუნავდნენ მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებასა და სიძლიერეზე. კვებავდნენ მათ განსაკუთრებული საკვებით და ზოგიერთ საგანს ასწავლიდნენ კიდეც. ამ სკოლის ყველაზე ცნობილი ადამიანი იყო სპარტაკი, სკოლას კი გლადიატორთა სკოლა ერქვა.

● ზოგიერთ აზიურ ქვეყანაში მას შეიძლება ათი შვილიც ჰყავდეს, მაგრამ უშვილოდ ითვლებოდეს, რადგანაც შვილად მხოლოდ ვაჟებს მიიჩნევენ.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

სტუდენტთა საყურადღებოდ!

აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ეკონომიკურ, სამართალმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის II, III და IV კურსებზე ნებადართულია ამავე პროფილის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან საამისო სურვილის მქონე სტუდენტთა გადმოყვანა. **ამ უნივერსიტეტში სწავლების წლიური საფასურია 1700 ლარი.** საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრამდე. სასწავლო წელი დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45. საკონტაქტო ტელეფონები: 2 31 18 50, 2 31 14 75.

რექტორატი

◎ ტესტი

შეიმოწმეთ ერუდიცია

1. დაასახელეთ ავტორი თბილისის თავზე წამომართული „ქართვლის დედისა“.
აძმ.ბერძენიშვილი;
ბძ ნ.კანდელაკი;
ბძ ე.ამაშუკელი;
დძ კ.მერაბიშვილი.

2. ვინ არის ავტორი მოთხრობისა „გრაფი კალიოსტრო“, რომლის მიხედვითაც გადაღებულია ფილმი „სიყვარულის ფორმულა“?
აძ ა.ბელიაევი;
ბძ ა.ტოლსტოი;
გძ ვ.კოროლენკო ;
დძ ი.ეფრემოვი.

3. რომელი პოეტი დაუნათესავდა ქორწინების შემდეგ დიმიტრი მედვედევს?
აძ ბალმონტი;
ბძ ი.სევერიანინი;
გძ ა.ბლოკი;
დძ ვ.ხლებნიკოვი.

4. ჩამოთვლილი სახელგანთქმული ადამიანებიდან რომელი არ ყოფილა დანარჩენების თანამედროვე?
აძ ისააკ ნიუტონი;
ბძ ეკატერინე II;
გძ მიხეილ ლერმონტოვი;
დძ ჟორჟ ბიზე.

5. ჩამოთვლილი ძუძუმწოვრებიდან რომლის რძეა ყველაზე ცხიმიანი (50 პროცენტი)?
აძ ციხფერი ვეშაპის;
ბძ ჩრდილოეთის ირმის;
გძ თეთრი დათვის;
დძ სელაპის.

6. რა არის ამ სიაში ზედმეტი?
აძ ეგვიპტური პირამიდები;
ბძ ჩინეთის დიდი კედელი;
გძ როდოსის კოლოსი;
დძ სემირამიდას კიდული ბაღები

პასუხები: 1. ალექსანდრე. 2. აკადემიკოსი, 3. ალექსანდრ, 4. ფიოდორ დოსტოევსკი, 5. ეზოდენტი, 6. ეზოდენტი.

◎ ანეკდოტები

მიხო საყვარელთან მივიდა. იმ საყვარელს კიდევ დაძალი სტუმროგდა. უცებ ის დაძალი შემოგრუნდა და მიხოს თავისი ცოლი არ შერჩა ხელთ?!

მიხოს ერთი პიროგა გააცია ტანში, მაგრამ უცებ გამოერკვა და ცოლს დაუღრიალა:

– ნახე, ერთი, ამის უნამუსოგა, მე ამას მთელ ქალაქში ვეძებ, ეგ კიდევ ვილაც ძარაფშუტასთან მოთრეულა! იქნებ საყვარელსაც შეძროგოდი საწოლში, შე ნაგავო, შენა, ჰა!

* * *

თილისმა მაჩუქეს, მაგარია, ფულს იზიდავსო. მართალი ყოფილა: მანქანის საქარე მინასთან ჩამოვკიდე თუ არა, რამდენიმე საათში ინკასატორის მანქანა ლამის სალონში შემომივარდა.

* * *

ორი ქალაქელი ბიჭუნა მეღორეობის ფერმაში მოწყოგილი ექსკურსიიდან დაბრუნდა.

– დედი, იცი, რა ვნახეთ ფერმაში? – იძახის უფროსი ვაჟი, – შენზე ბევრად მსუქანი ღორი ვნახეთ.

დედა ისტერიკაში ჩავარდა, შვილი კარგად მიტყეპა და აქვითინდა.

უმცროს შვილს დედა შეეცოდა და მისი დაწყნარება სცადა:

– ნუ ტირი, დედი, იტყუება ჩემი ძმა, შენზე მსუქანი ღორი მსოფლიოში არ არის!

* * *

– ძვირფასო, მომწყინდა ეს ერთფეროვნება საწოლში, მოდი, ვითამაშოთ – მე გამყიდველი ვიქნები, შენ კი – მყიდველი, – ეუბნება ცოლი ქმარს.

– კარგი, ვცადოთ: გოგონი, ქონი გაქვთ?

– არა!

– აბა, ეს რა არის, თეძოებზე?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24